



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება:დ-87. 8724122001

თარიღი:01/05/2024

დადგენილება №9

„ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №29 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2023, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.162.016632) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი





ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის

პროგრამული დანართი

თვითმმართველი ერთეული ახმეტის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2024-2027 წლებში ახმეტის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ახმეტის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდველი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით ახმეტის მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპალიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელება და შექმნება ისეთი ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

2023 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, ჩატარდა სხვადასხვა კვლევები, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა შეხვედრები. შემუშავდა 2024 – 2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ❖ ინფრასტრუქტურა;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- ❖ განათლება;
- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ❖ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება.

2024-2027 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით					
პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება	7212,6	7,380.20	7,791.50	8,147.70
	მ.შ. რიცხოვნობა	177	177	177	177
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
02 00	ინფრასტრუქტურა	14840,4	2,231.00	2,443.70	2,567.60
	მ.შ. რიცხოვნობა	63	63	63	63
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3892.1	3,139.8	3,101.80	3,403.70
	მ.შ. რიცხოვნობა	158	158	158	158
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
04 00	განათლება	5726.3	5,485.70	6,062.70	6,611.80
	მ.შ. რიცხოვნობა	406	406	406	406
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
05 00	კულტურა, ახალგაზრდული და სპორტი	4978.4	5,159.90	3,773.30	4,046.80
	მ.შ. რიცხოვნობა	369	369	369	369
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2544.7	2,020.80	2,212.70	2,437.20
	მ.შ. რიცხოვნობა	43	43	43	43

	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
სულ ჯამი		39222,4	25,417.4	25,385.7	27,214.8
მ.შ. რიცხოვნობა		1,216.0	1,216.0	1,216.0	1,216.0
მ.შ. ახალი ინიციატივები		-	-	-	-

შენიშვნა: რიცხოვნობაში ჩართულია შესაბამის სფეროში არსებული ააიპ-ების თანამშრომლების რიცხოვნობაც.

2024-2027 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით (საკუთარი შემოსულობების ფარგლებში)					
პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება	7212,6	7,380.20	7,791.50	8,147.70
	მ.შ. რიცხოვნობა	177	177	177	177
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
02 00	ინფრასტრუქტურა	5446,0	2,231.00	2,443.70	2,567.60
	მ.შ. რიცხოვნობა	63	63	63	63
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3471.3	3,139.8	3,101.80	3,403.70
	მ.შ. რიცხოვნობა	158	158	158	158
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
04 00	განათლება	4937.7	5,485.70	6,062.70	6,611.80
	მ.შ. რიცხოვნობა	406	406	406	406
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
05 00	კულტურა, ახალგაზრდული და სპორტი	4978.4	3,559.90	3,773.30	4,046.80
	მ.შ. რიცხოვნობა	369	369	369	369
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-

06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2126.3	2,020.80	2,212.70	2,437.20
	მ.შ. რიცხოვნობა	43	43	43	43
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
სულ ჯამი		28200,2	23,817.4	25,385.7	27,214.8
მ.შ. რიცხოვნობა		1,216.0	1,216.0	1,216.0	1,216.0
მ.შ. ახალი ინიციატივები		-	-	-	-

შენიშვნა: რიცხოვნობაში ჩართულია შესაბამის სფეროში არსებული ააიპ-ების თანამშრომლების რიცხოვნობაც.

ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	14840,4	2,231.0	2,443.7	2,567.6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	10240,7	200.0	200.0	200.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,487.5	1,045.5	1,218.6	1,299.6
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	646.5	153.4	270.4	288.7
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	250.0	250.0	250.0	250.0

02 02 03	ა(ა)იპ სოფლის სასმელი წყლის მოვლა-პატრონობის ცენტრი	591.0	642.1	698.2	760.9
02 03	გარე განათება	745.0	746.0	785.6	828.5
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	350.0	350.0	350.0	350.0
02 03 04	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური	395.0	396.0	435.6	478.5
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	74.0			
02 04 01	ბინათმშენებლობა	74.0			
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	892.6	10.0	10.0	10.0
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	892.6	10.0	10.0	10.0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1,152.1	-	-	-
02 07	ტურიზმი	248.5	229.5	229.5	229.5
02 07 01	ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	219.0	200.0	200.0	200.0
02 07 02	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	29.5	29.5	29.5	29.5

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში			
	02 01		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
				10240,7	200.0	200.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური					
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე შეადგენს 524,6 კილომეტრს. აქედან 31,5% (165,3 კმ) მოასფალტებულია, ხოლო დანარჩენი გრუნტის გზაა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და განახლება, ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას. ასევე განხორციელდება დაზიანებული ქვაფენილების და ტროტუარების აღდგენა-რეაბილიტაცია და მოპირკეთება ასფალტ-ბეტონის საფარით.</p>					

	აგრეთვე, პროგრამის მიზანია თუშეთში, ალტერნატიული გრუნტის გზებისა და მასთან დაკავშირებული ნაგებობების მოწყობა (მათ შორის წოვათას მხარეში ახალი გზის გაყვანა და ორი არსებული გზის ერთმანეთთან შეერთება)				
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება, მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან და მოსახლეობის მოთხოვნიდან ახალი გზების მშენებლობა და არსებულის რეაბილიტაცია				
	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	მოსაფალტებული საგზაო ინფრასტრუქტურა	31,5%	34.4%	1%	ტენდერის ჩავარდნა; უპასუხისმგებლო შემსრულებელი, ფონდებიდან დაფინანსების მიუღებლობა ან დამატებით მიღება

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში			
	02 02		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
			1,487.5	1,045.5	1,218.6	1,299.6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური					

პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის ფარგლებში შემავალ ყველა სოფელში. ამჟამად მუნიციპალიტეტის სოფლებში ფუნქციონირებს 39 ჭაბურღილი, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის წყლის მიწოდებას სხვადასხვა გრაფიკით. თუმცა კიდევ რჩება წყლის პრობლემა დიდ გამოწვევად და საჭიროა ახალი ჭაბურღილების დამატება ან არსებულის რეაბილიტაცია. პროგრამის მიზანია მოსახლეობისთვის სასმელი წყლის შეუფერხებელი მიწოდება				
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისთვის სასმელი წყლის შეუფერხებელი მიწოდება				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	მუდმივი სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა	სასმელი წყალი მიეწოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 87 %-ს. დანარჩენ მოსახლეობას წყალი მიეწოდება შეფერხებით.	სასმელი წყალი მიეწოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 89 %-ს. დანარჩენ მოსახლეობას წყალი მიეწოდება შეფერხებით.	2% - შესაძლებელია არსებობდეს დროებითი შეფერხებები	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარებში			
	02 02 01		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
			646.5	153.4	270.4	288.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას, ახალი ჭაბურღილების მოწყობას და აღნიშნული სისტემების გამართულად ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სამუშაოების წარმოებას. ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე მოსახლეობისთვის მუდმივი სასმელი წყლის მიწოდება					
მოსალოდნელი შედეგი	სასმელი წყლით შეუფერხებელი სარგებლობა					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი	

	მუდემივი სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა	სასმელი წყალი მიეწოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 87 %-ს. დანარჩენ მოსახლეობას წყალი მიეწოდება შეფერხებით.	სასმელი წყალი მიეწოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 89 %-ს. დანარჩენ მოსახლეობას წყალი მიეწოდება შეფერხებით.	2% - შესაძლებელია არსებობდეს დროებითი შეფერხებები	
--	--	---	--	--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარებში			
	02 02 02		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
			250,0	250,0	250,0	250,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ჭაბურღილებზე მოხმარებული ელ. ენერჯის საფასურის გადახდა. 1 კვტ.სთ-ის ღირებულებაა 0.3196. ამჟამად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 39 ჭაბურღილი, რომელიც უზრუნველყოფს წყლის მიწოდებას სხვადასხვა გრაფიკით.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ჭაბურღილებზე მოხმარებული ელ. ენერჯის გადასახადის დროული გადახდა</p>					
მოსალოდნელი შედეგი	სასმელი წყლით შეუფერხებელი სარგებლობა					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი	
	ელ. ენერჯის გადასახადი გადახდილია დროულად	100%	100%	-	შესაძლებელია არსებობდეს დროებითი შეფერხებები	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარებში			
	02 02 03		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
			591.00	642.1	698.2	760.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრი					
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სოფლებში არსებული ჭაბურღილების მოვლა-პატრონობას და სასმელი წყლის ქსელების შეცვლა-შეკეთების სამუშაოების ჩატარებას (ძველი ქსელების შეცვლა ახლით). სასმელი წყლის სათავე ნაგებობების შეკეთება, გაწმენდა, წყლის დაქლორვას. ორგანიზაციაში დასაქმებული 40 თანამშრომლიდან ქალი არის 6, მამაკაცი 34.					
ქვეპროგრამის მიზანი	ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობისათვის სასმელი წყლის შეუფერხებელი მიწოდება					
მოსალოდნელი შედეგი	სასმელი წყლის სისტემის გამართული ფუნქციონირება					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილები ს ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი	
	მუდგმივი სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა	სასმელი წყალი მიეწოდება მუნიციპალიტეტი ს მოსახლეობის 87 %-ს. დანარჩენ მოსახლეობას წყალი მიეწოდება შეფერხებით.	სასმელი წყალი მიეწოდება მუნიციპალიტეტი ს მოსახლეობის 89 %-ს. დანარჩენ მოსახლეობას წყალი მიეწოდება შეფერხებით.	2% -	შესაძლებელია არსებობდეს დროებითი შეფერხებები	
	რეაბილიტრებული წყალსადენის სიგრძე (კმ)	39 კმ.	43 კმ.	1%	შესაძლებელია არსებობდეს დროებითი შეფერხებები	

კოდი	პროგრამის დასახელება	გარე განათება	დაფინანსება ათას ლარებში			
02 03			2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
			745.0	726.0	775.6	828.5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური					

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება. ქალაქისა და სოფლების ქუჩებში გარე განათების ახალი ქსელების მოწყობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელებზე გახარჯული ელექტრო-ენერჯის საფასურის გადახდა. გარე განათების მოვლა პატრონობას უზრუნველყოფს ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური.</p> <p>მუნიციპალიტეტის 111 სოფლიდან თუშეთის სოფლებში და ბარის 5 სოფელში არ არის ელექტრო ენერჯია, მათში ელ. ენერჯიით უზრუნველყოფა ხდება მზის პანელების მეშვეობით, ხოლო დანარჩენი სოფლებიდან, სადაც არსებობს ელ. ენერჯია, 5 სოფლის გარდა ყველგან არის მოწყობილი გარე განათების წერტილები, ეს 5 სოფელია: ვეძები, ხევისჭალა, ახალდაბა, ჩარექაული და კოჯორი. ამ სოფლებშიც მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად ეტაპობრივად განხორციელდება გარე განათების მოწყობა</p> <p>პროგრამის მიზანია მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა განათებული ქუჩებითა და გზებით. მათ შორის უზრუნველყოფილი იქნება ქალებისა და ბავშვების უსაფრთხო გადაადგილება</p>				
<p>პროგრამის მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მოსახლეობისთვის შექმნილია უსაფრთხო გარემო - განათებული ქუჩებითა და გზებით.</p>				
<p>შედეგის შეფასების ინდიკატორი</p>	<p>#</p>	<p>საბაზისო მაჩვენებელი</p>	<p>მიზნობრივი მაჩვენებელი</p>	<p>ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)</p>	<p>შესაძლო რისკი</p>
	<p>დასახლებული პუნქტის განათებული ფართობი</p>	<p>66</p>	<p>67</p>	<p>10%</p>	<p>ელექტრო ენერჯის შეფერხებული მოწოდება</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია</p>	<p>დაფინანსება ათას ლარებში</p>			
	<p>02 03 01</p>		<p>2024 წელი</p>	<p>2025 წელი</p>	<p>2026 წელი</p>	<p>2027 წელი</p>
			<p>350.00</p>	<p>350.0</p>	<p>350.0</p>	<p>350.0</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური</p>					
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელებზე გახარჯული ელექტრო-ენერჯის საფასურის გადახდა.</p>					
<p>ქვეპროგრამის შედეგი</p>	<p>მოსახლეობისთვის შექმნილია უსაფრთხო გარემო - განათებული ქუჩებითა და გზებით.</p>					
<p>შედეგის შეფასების ინდიკატორი</p>	<p>#</p>	<p>საბაზისო მაჩვენებელი</p>	<p>მიზნობრივი მაჩვენებელი</p>	<p>ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)</p>	<p>შესაძლო რისკი</p>	

	ელ. ენერჯის გადასახადი გადახდილია დროულად	100%	100%	-	პროგრამის გაუმართავობა
--	--	------	------	---	---------------------------

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების მოვლა- პატრონობა	დაფინანსება ათას ლარებში			
	02 03 04		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
			395.00	396.0	435.6	478.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელ ი სამსახური	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების 70%-მდე მოწყობილია გარე განათების სისტემები, მათ შორის მოკლე ჩართვის შედეგად ავარიული მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად ძველი სადენების დიდი ნაწილი შეცვლილია ახალი იზოლირებული სადენებით და მიმდინარეობს დარჩენილი ნაწილის შეცვლა ახლით. ასევე ხორციელდება შეკეთება-რეკონსტრუქცია დაზიანებული უბნების. ელექტრო ენერჯის დაზოგვის მიზნით ძველი ნათურები იცვლება ენერგოეფექტური ნათურებით</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია, მუნიციპალიტეტის გარე განათების სისტემები იყოს ეკონომიური და მოსახლეობას შეეძლოს ღამის განმავლობაში შეუფერხებლად გადაადგილება</p> <p>ორგანიზაციაში დასაქმებული 17 თანამშრომლიდან ქალი არის 5, მამაკაცი 12.</p>					
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ახმეტის მუნიციპალიტეტში ღამის განათების უსაფრთხო და გამართული ფუნქციონირება					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი	
	შეიცვალა ძველი ღამის სადენები იზოლირებული სადენებით	75	85	5%	ელექტრო ენერჯის შეფერხებული მოწოდება	

პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარებში			
	02 05		2024 წ.	2025 წ.	2026 წ.	2027 წ.
			580,1	10,0	10,0	10,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური					

პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის განხორციელებით საგრძნობლად უმჯობესდება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა, იერსახე და მოსახლეობის დასვენების პირობები. დაგეგმილია სკვერებისა და პარკების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვებისა და ქალების საჭიროებები.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ასევე სკვერებში გახარჯული წყლის გადასახადი.</p>				
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	მოწყობილი სკვერები				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	მოწყობილი სკვერების რაოდენობა	4	5	-	არშემდგარი ტენდერი; უპასუხისმგებლო შემსრულებელი

კოდი	პროგრამის დასახელება	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარებში			
02 06			2024 წ.	2025 წ.	2026 წ.	2027 წ.
					1152,1	198,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური					
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა და თანხის გამოყოფა ხდება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №654-ის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მოსახლეობის რაოდენობის თაობაზე სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს თითოეული დასახლებისთვის განსაზღვრული თანხის გაანგარიშებას. თანხის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპის დაცვით:</p> <p>ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი;</p> <p>ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 12 000 ლარი;</p> <p>გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 16 000 ლარი;</p>					

	დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 20 000 ლარი.				
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე სოფლებში მოწყობილია სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურა				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	მოწყობილი ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა	76	80		უპასუხისმგებლო შემსრულებელი

კოდი	პროგრამის დასახელება	ტურიზმი	დაფინანსება ათას ლარებში			
			2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
02 07			248.5	229,5	229,5	229,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური				
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებს ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საერთაშორისო პროექტების განყოფილება, რომელიც უცხოელ და ადგილობრივ ტურისტებს აწვდის ინფორმაციას ტურისტული ინფრასტრუქტურის, ტურისტული ადგილების, ტურისტული პროგრამების, ტრანსპორტის, ბუნების ძეგლების, დაცული ტერიტორიების, არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების, კულტურული ღონისძიებების, ფესტივალების, სახალხო დღესასწაულებისა და სხვა საკითხების შესახებ.</p> <p>ახმეტის მუნიციპალიტეტში განვითარებული ტურიზმის შემდეგი სახეობები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საფეხმავლო ტურიზმი; ➤ საცხენოსნო ტურიზმი; ➤ ეკო ტურიზმი; ➤ აგრო ტურიზმი. <p>ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით კახეთის მუნიციპალიტეტებმა დაარსეს ორგანიზაცია ა(ა)იპ „კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთი“. აღნიშნული ა(ა)იპ-ის მიზანია ტურიზმის დაგეგმვა და</p>				

	განვითარება, კახეთის რეგიონის უნიკალური თვისებების გამოყენება, როგორცაა უძველესი ღვინის კულტურა და ღვინის წარმოების ტრადიციები, ადგილობრივი სამზარეულო, ლამაზი სოფლები, კახეთის უნიკალური ბუნება. ამით სარგებლობას იღებს როგორც ტურისტი ასევე ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები. ასევე, პროგრამის ფარგლებში მოეწყობა სხვადასხვა ტურისტული ინფრასტრუქტურა.				
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ტურიზმის განვითარება და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	განხორციელებული პროექტების რაოდენობა	1	3		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	დაფინანსება ათას ლარებში			
02 07 01			2024 წ.	2025 წ.	2026 წ.	2027 წ.
			219,0	200,0	200,0	200,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ადმინისტრაციული სამსახურები					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და დონორებისგან მოზიდული პროექტების თანადაფინანსება (UNDP, GIZ, EU და ა.შ.)</p> <p>ბახტრიონის ტყე პარკის და გადმოსახედის მოწყობა (GIZ)</p> <p>პროექტი ითვალისწინებს ახალი ეკოტურისტული სივრცის შექმნას, სადაც მოეწყობა გადასახედი, საპიკნიკე, საკემპინგე, მინი სცენა, გამოფენა სივრცე და სხვა მოსასვენებელი და გასართობი სივრცე, ასევე მისასვლელი გზა, პარკინგი, წყარო და სველი წერტილები</p> <p>GIZ პროექტი ECO ჯორჯიას პროექტის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსი - ეკო განათლება და ეკოტურიზმი თანადაფინანსების თანხა შეადგენს 23 000 ლარს</p>					

	<p>2024 განსახორციელებელი ერთერთი პროექტია გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში ფონდის გლობალური სტრატეგიის შესაბამისად დაგეგმილია განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული ენერგეტიკული ტექნოლოგიების დანერგვა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოჭორნაში პროექტით: „განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების ინიციატივა თუშეთის სოფ. ბოჭორნაში“. აღნიშნული პროექტის თანადაფინანსება შეადგენ 46,0 ათ. ლარს.</p>				
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებული დაფინანსება ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	განხორციელებული პროექტების რაოდენობა	1	3		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში			
			2024 წ.	2025 წ.	2026 წ.	2027 წ.
02 07 02			29,5	29,5	29,5	29,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია				
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით კახეთის მუნიციპალიტეტებმა დაარსეს ორგანიზაცია ა(ა)იპ „კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთი“. აღნიშნული ა(ა)იპ-ის მიზანია ტურიზმის დაგეგმვა და განვითარება, კახეთის რეგიონის უნიკალური თვისებების გამოყენება, როგორცაა უძველესი ღვინის კულტურა და ღვინის წარმოების ტრადიციები, ადგილობრივი სამზარეულო, ლამაზი სოფლები, კახეთის უნიკალური ბუნება. ამით სარგებლობას იღებს როგორც ტურისტი ასევე, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები.				
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი		ტურიზმის ხელშეწყობა				

შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი

დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარემოს დაცვა, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქში არსებული სასაფლაოების მოვლა-დასუფთავება. თუშეთის დაცული ლანდშაფტის მოვლა-პარონობა; მდინარეების კალაპოტის რეგულირება, სანიაღვრე არხების მოწყობა.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,892.1	3,139.8	3,101.8	3,403.7
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,436.9	1,393.7	1,532.3	1,685.2
03 02	გარემოს დაცვა	1,052.4	1,008.3	1,108.8	1,218.8
03 02 01	თუშეთის დაცული ლანდშაფტი	619.4	565.0	621.5	683.1
03 02 02	ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-ტარონობის ცენტრი	433.0	443.3	487.3	535.7
03 03	კაპიტალური დაბანდებები გარემოს დაცვის სფეროში	1,402.8	737.8	460.7	499.7
03 03 01	სანიაღვრე არხების მოწყობა	305.9	209.0	231.0	253.0
03 03 02	ხეების გაწმენდა ნატანისგან	-			
03 03 03	სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა	848.9	413.8	103.7	103.7
03 03 04	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	248.0	115.0	126.0	143.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დაფინანსება ათას ლარებში			
	03 01		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
			1,436.9	1,393.7	1,532.3	1,685.2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური					
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველდღიურად დაგვა დასუფთავებას და ნარჩენების გატანას. იგეგმა ქ. ახმეტის ქუჩები, რომლის საერთო ფართია 97000 კვ.მ, ასევე სოფელ მატანის და ზემო და ქვემო ალვანის ქუჩები. კვირაში სამჯერ სუფთავდება ცენტრალური გზები გადანაყარისაგან. ხდება სანიაღვრე არხების გაწმენდა, რომლის საერთო სიგმა 430 კმ, გრაფიკის მიხედვით ხორციელდება ნარჩენების გატანა გულგულის ნაგავსაყრელზე. პერიოდულად ითიბება ცენტრალური ქუჩების მიმდებარე ტერიტორიები და სუფთავდება ანასხლავი ტოტებისგან.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიური მოწესრიგება, ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა. ნარჩენების სწორად მართვა და დახარისხება, განხორციელდება ცალკეული ტერიტორიების მწვანე საფარის, ქუჩებისა და სხვა საჯარო სივრცეების დაგვა-დასუფთავების, მორწყვა-მორეცხვის, სანიაღვრე არხების ნატანისაგან გაწმენდის სამუშაოები.</p> <p>ორგანიზაციაში დასაქმებული 93 თანამშრომლიდან ქალი არის 48, მამაკაცი 45.</p>					
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ახმეტის მუნიციპალიტეტში სუფთა გარემოს უზრუნველყოფა					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი	
	მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფართობი, სადაც ხორციელდება სადუფთავების სერვისი.	400 კვ.კმ	400 კვ.კმ	5%	ტექნიკის გაუმართაობა	



პროგრამის დასახელება	კოდი	გარემოს დაცვა	დაფინანსება ათას ლარებში			
	03 02		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
			1,052.4	1,008.3	1,108.8	1,218.8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია; ა(ა)იპ "თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია", ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი					
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თუშეთის დაცული ლანდშაფტის, სამუხის ტერიტორიის, ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობა					
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ახმეტის მუნიციპალიტეტის ტრადიციული იერსახის შენარჩუნება, ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის შენარჩუნება, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების უზრუნველყოფა					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	დასახელება	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი	
	მოვლილი და დაცული ტერიტორიები	100%	100%			
	დაცული ისტორიულ-კულტურული ძეგლები (თუშეთის სოფლები)	100%	100%			

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	თუშეთის დაცული ლანდშაფტი	დაფინანსება ათას ლარებში			
	03 02 01		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
			619.4	565.0	621.5	683.1

<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ა(ა)იპ "თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია"</p>
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>"ახმეტის მუნიციპალიტეტი ქვეყანაში პირველი მუნიციპალიტეტია, რომელიც 2011 წლიდან მართავს დაცულ ტერიტორიას, კერძოდ, თუშეთის დაცულ ლანდშაფტს. ხოლო ა(ა)იპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის საშუალებით 2023 წლიდან დაიწყო მართვა „ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა“</p> <p>ადმინისტრაციას აქვს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული მენეჯმენტის გეგმა და მასში განსაზღვრულია შემდეგი მიზნები და ამოცანები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. უნიკალური ეკოსისტემების, ცალკეული ბუნებრივი კომპონენტების ანთროპოგენიზაციის შედეგად გადაგვარება–დაღუპვისგან დაცვა; 2. უმდიდრესი ეროვნული მემკვიდრეობის – ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლთა და ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის შენარჩუნება; 3. ხალხური შემოქმედების ტრადიციათა შენარჩუნება და განვითარება. 4. თუშეთის უნიკალური ისტორიული დასახლებების ტრადიციული იერსახის შენარჩუნება, დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე სივრცითი დაგეგმარების სისტემის შემუშავება, 5. ადგილობრივი მოსახლეობისათვის საშემე და სამასალე მერქნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, 6. ტყის მავნებლების გამრავლებისა და ხანძრების თავიდან აცილების ეფექტური სისტემების შემუშავება, 7. ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის შესწავლა და განვითარების მხარდაჭერა. 8. თუშეთში მუდმივმაცხოვრებელი მოსახლეობის მოტივირება, სამოვრების მდგრადი მართვის სისტემის შექმნა, 9. ძირითადი ტურისტული ბილიკებისა და ინფრასტრუქტურის შექმნა, 10. თუშეთის ენდემური მცენარეული კულტურებისა და ცხოველთა ჯიშების (თუშური ცხვარი, თუშური ცხენი) დაცვის სტრატეგიის შემუშავება, 11. დაცულ ლანდშაფტში გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების სტაბილური რაოდენობის უზრუნველყოფა. <p>სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მიზნებია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ქურციკის (<i>Gazella subgutturosa</i>) პოპულაციის აღდგენა, დაცვა და მოვლა; 2. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე ბუნებრივი ეკოსისტემების, ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტების, ძეგლების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, განსაკუთრებით, საფრთხის წინაშე მყოფ მცენარეთა და ცხოველთა გენოფონდის, დაცვის, აღდგენისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების უზრუნველყოფა; 3. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისთვის მიკუთვნებული წყლის ობიექტების ბუნებრივი ბიოეკოლოგიური რეჟიმის დაცვა და უწყვეტი მონიტორინგის განხორციელება; 4. გარემოს დაცვის მოთხოვნებისა და ქურციკის პოპულაციის აღდგენის საჭიროებების გათვალისწინებით, ორგანიზებული და განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა; 5. ადამიანსა და ბუნებას შორის დაბალანსებული ურთიერთობის განვითარება და გაძლიერება; 6. მდგრადი განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და ტრანსსასაზღვრო დონეზე;

7. სამეცნიერო კვლევა და გარემოს მონიტორინგის წარმოება ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის კუთხით;
8. საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელის გაძლიერება და ერთიანობის ხელშეწყობა;

ვინაიდან, ზემოაღნიშნულ ამოცანათა გადასაჭრელად ადმინისტრაციის საბაზისო ბიუჯეტი საკმარისი არ არის, საჭირო ღონისძიებათა უდიდესი ნაწილი ფინანსდება საერთაშორისო ფონდებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მიერ. ააიპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია“-ის სტრატეგიას წარმოადგენს საკუთარი სახსრების მოზიდვა მისი წესდებით ნებადართული საქმიანობით: სატყეო მომსახურება, დაცულ ტერიტორიაზე შესასვლელი ნებაყოფლობითი გადასახადის დაწესება და ა.შ.

თუშეთის შიდა საავტომობილო გზებს ყოველწლიურად ესჭიროება აღდგენა-რეაბილიტაცია, რის გამოც თდლ-ს ადმინისტრაციას გადაეცა სამი ერთეული საგზაო სპეც. ტექნიკა და კონკრეტული ფინანსური რესურსი.

ზემო აღნიშნული ფინანსურ-ტექნიკური რესურსის მეშვეობით, თდლ-ს ადმინისტრაციამ არამხოლოდ უზრუნველყო თუშეთის ყველა ხეობაში (ჭანჭახოვანი, ჩაღმა, გომეწარი, პირიქითი, წოვათა) ყოველწლიური გზის გაწმენდა- შენარჩუნება სეზონის განმავლობაში, არამედ შეძლო წლების მანძილზე საავტომობილო გზის გარეშე მყოფი ხეობებისა და სოფლების (წოვათის ხეობის 7 და გომეწარის 1 სოფელი) გარესამყაროსთან დაკავშირება. მოიხრეშა და გაკეთდა წლების განმავლობაში ხეობის ცალკეული დახრამული და დაზიანებული მონაკვეთები და სოფლების ქუჩები, ამოიცვალა დაზიანებული ხიდ-ბოგირები. ადმინისტრაციის ტექნიკა, ექსკავატორი თუ თვითმცლელი ემსახურება აგრეთვე თუშეთის სხვადასხვა სოფლის სასმელი წყლის სისტემის დაზიანებული ადგილების შესაკეთებლად საჭირო სამუშაოების შესრულებას და ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა კერძო სამუშაოების შესასრულებლად.

მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის შედეგია თუშეთისა და სამუხის როგორც ზოგადსაკაცობრიო საუნჯის, უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვა. UNESCO – ს მსოფლიო მემკვიდრეობის უბნისა და ზურმუხტის ქსელის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და განვითარება საყოველთაო ხელწვდომის პირობებში.

შედეგის შეფასების ინდიკატორი

ინდიკატორების აღწერა#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
სამუხის ტერიტორიაზე ქურციკის (<i>Gazella subgutturosa</i>) პოპულაციის დაცვა და გამრავლების ხელშეწყობა	200-მდე ინდივიდი	200-მდე ინდივიდი	10%	ბრაკონიერობა; ინფექციური დაავადებები; ხანძრები; გვალვა
თუშეთის უნიკალური ბიომრავალფეროვნება და წითელი ნუსხის სახეობები შენარჩუნებული და დაცულია	ნიაშორი (<i>Capra aegagrus</i>) – 507 ინდივიდი; აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი (<i>Capra caucasica cylindricornis</i>) - 448 ინდივიდი კეთილშობილი ირემი (<i>Cervus</i>	ნიაშორი (<i>Capra aegagrus</i>) – 507 ინდივიდი; აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი (<i>Capra caucasica cylindricornis</i>) - 448 ინდივიდი კეთილშობილი ირემი (<i>Cervus</i>	5%	ბრაკონიერობა; ტყის ხანძრები; მეწყერი.

	<i>elaphus</i>) - 69 ინდივიდი; კალმახი (<i>Salmo trutta</i>) – რ-ობა უცნობია; ჯიქი (<i>Pantera pardus</i>) – 1	<i>elaphus</i>) - 69 ინდივიდი; კალმახი (<i>Salmo trutta</i>) – რ-ობა უცნობია; ჯიქი (<i>Pantera pardus</i>) – 1		
თუშეთში არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები დაცულია	16 ძეგლი სოფლი - ომალო, აგურთა, ძველი დიკლო, დართლო, კვავლო, დანო, ფარსმა, ძველი გირევი, ჰელო, ჭონთიო, დაქიურთა, ნაკუდურთა, დოჭუ, წარო, ინდურთა, ნადირთა	კულტურული მემკვიდრეობის ყველა უძრავი ძეგლი შენარჩუნებული და დაცულია		მიწისძვრა; მეწყურული პროცესები; უნებართვო მშენებლობებ ი; ვანდალიზმი ს შემთხვევები

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მართვის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარებში			
	03 02 02		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
			433.00	443.3	487.3	535.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა- პატრონობის ცენტრი					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ორგანიზაცია ახორციელებს ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყე-პარკებისა („წყაროების“, „ბახტიონის“, „შვეიცარიის“, „ხორხელის“) და სასაფლაოებზე მისასვლელი ბილიკების დაგვა და დასუფთავებას, გამწვანებას, ამორტიზირებული ხეების მოჭრას, უპატრონო მიცვალებულებისათვის გამოყოფილი ადგილის დასუფთავებას. ხდება ტყე-პარკი „წყაროების“ ტერიტორიის შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობა, რეგულარული დაგვა-დასუფთავება და გამწვანება. ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების სხვადასხვა სახის დახმარება, (სახურავის შერემონტება, შეშით დახმარება). ტყე-პარკ „წყაროებში“ წელიწადში ხდება 3-4 ჯერ გათიბვა, გაწმენდა ეკალ-ბარდისგან, სეზონზე ყოველდღიურად იგვება და სუფთავდება მთელი ტერიტორია. ტყე-პარკი „ბახტიონი“ გაწმენდა ბალახისა და ჯაგნარისაგან გაზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე. შედარებით ნაკლები სამუშაოები ტარდება ტყე-პარკ „შვეიცარიასა“ და ტყე-პარკ „ხორხელში“. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ახმეტის 3 და 1 საბეროს სასაფლაოების ყოველ გაზაფხულზე, შუა ზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე გათიბვა, გაწმენდა ეკალ - ბარდისგან.</p> <p>ორგანიზაციაში დასაქმებული 37 თანამშრომლიდან ქალი არის 5, მამაკაცი 32.</p>					
ქვეპროგრამის საბოლოო შედეგი	მოვლილი ტყე-პარკები და სასაფლაოები					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი	

	მუნიციპალური ტყე-პარკების ფართობი სადაც ხორციელდება მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	108 ჰა	108 ჰა.	1%	-
	მუნიციპალური სასაფლაოების ფართობი სადაც ხორციელდება მოვლა-პატრონობის ღონისძიებები სასაფლაოების ტერიტორიაა	27ჰა	27ჰა	0%	-
	სოციალურად დაუცველთათვის შეშით დახმარება	100	100	3%	მოსახლეობის მომართვიანობა

კოდი	პროგრამის დასახელება	კაპიტალური დაბანდებები გარემოს დაცვის სფეროში	დაფინანსება ათას ლარებში			
			2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
03 03			1402.8	737.8	460.7	499.7
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური				
პროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარემოს დაცვის მიმართულებით, ისეთი ქვეპროგრამები როგორცაა სანიაღვრე არხების მოწყობა, ხეების გაწმენდა ნატანისგან, სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შექმნა, სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია				
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი		მოსახლეობის სიცოცხლის, საცხოვრებელი სახლების და სასოფლო სამეურნეო სავარგულების დაცვა წყალმოვარდნებისაგან				
შედეგის შეფასების ინდიკატორი		ინდიკატორების აღწერა#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი

	საშიშ ზონაში წყალმოვარდნებისაგან დაცული მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი	5%	5%	ჩაშლილი ტენდერი; უპასუხისმგებლო შემსრულებელი
--	--	----	----	--

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სანიაღვრე არხების მოწყობა, რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარებში			
			2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
03 03 01			305.9	209.0	231.0	253.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური				
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობა - რეაბილიტაცია, რის შედეგად უხვი ნალექების პირობებში მოსახლეობა დაცული იქნება ეზოების და პირველი სართულების დატბორვისგან. კომფორტული გახდება აღნიშნული გზით მოსარგებლე მოსახლეობის გადაადგილება.				
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი		მოწყობილია სანიაღვრე არხები				
შედეგის შეფასების ინდიკატორი		ინდიკატორების აღწერა#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
		მოწყობილი სანიაღვრე არხების სიგრძე	77142	79000		ჩაშლილი ტენდერი; უპასუხისმგებლო შემსრულებელი

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარებში			
			2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
03 03 04			248.0	115.0	126.0	143.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური				

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამით განხორციელდება მდინარეებსა და ხევებზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება. მოეწყობა ქვის გაბიონები საჭიროებისამებრ, რათა სამომავლოდ უზრუნველყოფილი იყოს სტიქიის პრევენცია. ხოლო სტიქიის შედეგად მინიმალური ზიანი მიადგეს როგორც სასოფლო სამეურნეო სავარგულებს, ასევე საცხოვრებელ სახლებსა და ეზოებს.				
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	მოწყობილია ნაპირსამაგრი ნაგებობები				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორების აღწერა#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	საშიშ ზონაში წყალმოვარდნებისაგან დაცული მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი	5%	5%		ჩაშლილი ტენდერი; უპასუხისმგებლო შემსრულებელი

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა	დაფინანსება ათას ლარებში			
03 03 03			2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
			848.9	413.8	103.7	103.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მთიანი და ფართოდ გაშლილი რელიეფის გამო მუნიციპალიტეტის სოფლები მნიშვნელოვანი მანძილითაა დაშორებული მუნიციპალიტეტის ცენტრიდან. ყველა საჭირო მუნიციპალური სერვისით რომ ისარგებლოს მოსახლეობამ (მაგალითად საავადმყოფო, სამხატვრო თუ სახელოვნებო სკოლები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ცენტრები) ხშირად უწევთ დიდი მანძილის ფეხით გავლა და ამასთან მნიშვნელოვანი დროის დაკარგვა. კერძო სექტორის სატრანსპორტო კომპანია აღნიშნული სერვისით არ არის დაინტერესებული. ამისათვის შეიქმნა საჭიროება საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების, შეძენილი იქნას ავტობუსები რომ მოქალაქეებმა, სოციალურად დაუცველმა პირებმა, პენსიონერებმა, ქალებმა, კაცებმა, ბავშვებმა, შშმ პირებმა საზოგადოებრივი ტრანსპორტით ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, დროის მცირე დანაკარგებით შეძლონ გადაადგილება რათა არ იყოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული არცერთი სერვისით სარგებლობა ძნელად მიღწევადი.</p>					

	<p>აღნიშნულიდან გამომდინარე დაიგეგმა სამი ერთეული სამგაზვრო ავტობუსის შექმნა, ორი ავტობუსი შექმნილი უნდა იქნას ადგილ ბიუჯეტის სახსრებით (270,0 ათასი ლარი), ხოლო მესამე სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით.</p> <p>კონსოლიდირებული ტენდერის პირობების შესაბამისად, თითოეულ შექმნილი ავტობუსის 2023 წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს სრული ღირებულების 40 %-ს, 2024 წელს - სრული ღირებულების 30%-ს, 2025 წელს 30%-ს.</p> <p>დასახლებული ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებლად გატანის მიზნით შექმნილ უნდა იქნეს 16 მ³ მოცულობის ნაგავმზიდი (4*2-ზე თვლების ფორმულით). საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ერთი ერთეული ნაგავმზიდის ღირებულება იქნება 396 180 ლარი. ტენდერის პირობების შესაბამისად, 2023 წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს სრული ღირებულების 40%-ს, ხოლო 2024 წელს - სრული ღირებულების 60%.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალურ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებელი გატანა</p>				
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალურ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებელი გატანა				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორები ს აღწერა#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	შექმნილი ავტობუსების რაოდენობა	0	3	-	უპასუხისმ გებლო მომწოდებ ელი
	შექმნილი ნაგავმზიდის რაოდენობა	0	1	-	უპასუხისმ გებლო მომწოდებ ელი

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის

საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
04 00	განათლება	5,726.3	5,485.7	6,062.7	6,611.8
04 01	სკოლამდელი განათლება	5,027.3	5,440.2	6,017.2	6,566.3
04 01 01	ა(ა)იპი საბავშვო ბაღების ცენტრი	4,799.0	5,440.2	6,017.2	6,566.3
04 01 02	სკოლამდელი განათლების არაფინანსური	228.3	-	-	-
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	699.0	5,485.7	6,062.7	6,611.8

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლება	დაფინანსება ათას ლარებში			
	04 01		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
პროგრამის დასახელება	04 01	სკოლამდელი განათლება	5,027.3	5,440.2	6,017.2	6,566.3
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სკოლამდელი განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური					
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოში უზრუნველყოფილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებაში ბავშვთა უფასო აღზრდა და განათლება, აგრეთვე მათი კვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p> <p>სკოლამდელი აღზრდა და განათლება, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამა, არის ნებაყოფლობითი, საყოველთაო და ხელმისაწვდომი შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამის ბავშვებისთვის მიწოდებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 36 საბავშვო ბაღიდან სრულად რეაბილიტირებულია 12 საბავშვო ბაღი, 22 ნაწილობრივ რეაბილიტირებული, ხოლო 2 საბავშვო ბაღი განთავსებულია იჯარით აღებულ შენობაში.</p> <p>პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღების შენობა ნაგებობების სრული რეაბილიტაცია და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჰარმონიული განვითარება და მათი სკოლისთვის მომზადება. ის ითვალისწინებს ბავშვის ინტელექტუალურ, ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას, ხელს უწყობს ინდივიდუალური და პიროვნული თვითგამოხატვის უნარების გამოვლენასა და ესთეტიკური გემოვნების აღზრდას.</p>					

პროგრამის შედეგი	რეაბილიტირებული საბავშვო ბალების შენობები; ჰარმონიულად განვითარებული მომავალი თაობა, სკოლისათვის მომზადებული აღსაზრდელები				
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკი
	პირველ კლასში შესასვლელად მომზადებული ბავშვთა რაოდენობა	356	330	5%	მთავარი რისკი პროგრამის განსახორციელებლად არის არასრული დაფინანსება, ასევე შესყიდვებთან დაკავშირებული (ჩამოლილი ტენდერები დაგვიანებული, დროში გაწელილი.) არაკეთილსინდისიერი მომწოდებლები
	რეაბილიტირებული შენობები	12	15	0	ჩავარდნილი ტენდერი; უპასუხისმგებლო შემსრულებელი

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარებში			
	04 01 01		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
			4,799.0	5,440.2	6,017.2	6,566.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა.ა.ი.კ. "ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბალების ცენტრი"					
აქტიურად გაგრძელდება მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დოკუმენტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილი 2024 საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში ასახულია ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ, მუნიციპალიტეტის შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2024-2027 წლებისთვის, 2022 წლის და მიმდინარე 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების მონაცემები და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის კომპეტენციის სფეროში/დარგში/მიმართულებაში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება;

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ახმეტის მუნიციპალიტეტი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის მხარეში. ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ახმეტა.

მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტები, ჩრდილოეთით საზღვრავს ჩეჩნეთი, აღმოსავლეთით ესაზღვრება თელავის მუნიციპალიტეტი და დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკა, სამხრეთით კი საგარეჯოს მუნიციპალიტეტი. იგი მდებარეობს მდინარე ალაზნის მარჯვენა მხარეს, მდინარე ილტოსა და მდინარე ორვილს შორის გაშლილ ვაკეზე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის თუშეთი, რომელიც ზღვის დონიდან 1650-4493 მ. სიმაღლეზე მდებარეობს და სოფელი კასრისწყალი, რომელიც მდებარეობს შირაქის ვაკეზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მიმდებარედ.

მუნიციპალიტეტში 1 ქალაქი, 15 ადმინისტრაციული ერთეული და 111 სოფელია, აქედან 51 სოფელს არ ყავს ზამთარში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობა.

მაღალმთიანი დასახლების სტატუსით სარგებლობს 78 სოფელი.



ფართობი

მუნიციპალიტეტის საერთო ფართობია 2207,6 კმ². აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 830 კმ². ხოლო მუნიციპალიტეტის 912 კმ² კი ტყითაა დაფარული.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე შეადგენს 524 600 გრძივ მეტრს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის 4 შიდა სახელმწიფო მნიშვნელობის გზა. ესენია:

- ზემო ხოდაშენი-ალავერდი-ქვემო ალვანი
- ახმეტა-ბაწარას ნაკრძალი
- ახმეტა-თელავი-ბაკურციხე
- თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორი

მოსახლეობა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა 28,2 ათას ადამიანს შეადგენს. აქედან საქალაქო დასახლებაში ცხოვრობს 6.2 ათასი, ხოლო სასოფლო დასახლებაში მცხოვრებთა რაოდენობა 22,0 ათასი ადამიანია.

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით ახმეტის მუნიციპალიტეტის მცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 31461, სქესთა გადანაწილება ასეთია: საქალაქო დასახლებაში ცხოვრობს 3 480 მამაკაცი, ხოლო სასოფლო დასახლებაში 12 152. საქალაქო დასახლებაში ქალთა რაოდენობა 3625-ს შეადგენს, ხოლო სასოფლო დასახლებაში კი - 12204-ს.

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 6654 პენსიონერი და 1404 სოც. პაკეტის მიმღები პირი. მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრების სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა 2023 წლის მდგომარეობით შეადგენს 5.5 ათას მოსახლეს.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოსახლეობის სიმჭიდროვე 12,8 კაცი/კმ²-ზეა.

ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა

დასახლება	რაოდენობა
მოსახლეობის რიცხოვნობა	28200
0-5 წლის ბავშვი	1937
6-18 წლამდე ბავშვი	5989
პენსიონერთა რაოდენობა	6654
სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა რაოდენობა	2337
მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრების სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა	5500

ახმეტის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2023 წლის მონაცემების მიხედვით

დასახლება	მოსახლეობა (ათასი)	ფართობი (კვ.კმ)
სულ საქართველო	3736,4	69,700.00
კახეთის რეგიონი	306,2	11,309.50
ახმეტის მუნიციპალიტეტი	28,2	2,208.00

პროცენტი საქართველოსთან	0,75%	3.2%
პროცენტი რეგიონთან	9.2%	19.5%

ეკონომიკა

მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყაროებია: დასაქმება საბიუჯეტო ორგანიზაციებში, სოფლის მეურნეობა და მცირე ბიზნესი. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია: სარძევე, მევენახეობა, მემარცვლეობა, მეცხოველეობა და მეცხვარეობა.

ახმეტის მუნიციპალიტეტს ძალიან დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს. მისი ტერიტორია უნიკალურია ბუნებრივი პირობების თვალსაზრისით. აქაური ფაუნა, ფლორა, შიდა წყლები და რთული რელიეფური პირობები თვალისმომჭრელია თითოეული მნახველისათვის. აქაურ მიწებზე წარმოდგენილია ერთობლივად სამი სახელმწიფო ნაკრძალი, ბაწარის, ბაბანეურის და თუშეთის.

თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ფუნქციონირებს ტურისტული მარშრუტები, რომლებიც თუშეთის უნიკალური ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივი ლანდშაფტების უდიდეს ნაწილს მოიცავს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მნახველებს შესაძლებლობა აქვთ აგრეთვე მოინახულონ და გაეცნონ უძველეს ისტორიულ ძეგლებს, ისარგებლონ საოჯახო სასტუმროთი, დააგემოვნონ ქართული ღვინო და ტრადიციული კერძები.

სამწუხაროდ საქართველოში არ არსებობს სტატისტიკა მთლიანი შიდა პროდუქტის დათვლისა მუნიციპალიტეტების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ გვიხდება ნაკლებად ავლწროთ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობა და პირდაპირ განვიხილავთ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებს.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში გადადგმულმა ნაბიჯებმა (საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილება, რის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რჩება დამატებული ღირებულების გადასახადის გაერკვეული ნაწილი) მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები. თუმცა ახმეტის მუნიციპალიტეტი მაინც საჭიროებს დამატებითი ტრანსფერების გამოყოფას. მაგალითად, მიმდინარე წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები მთლიან შემოსულობებთან მიმართებაში შეადგენს 28 პროცენტს. აღნიშნული კი მეტყველებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტმა რომ განახორციელოს თავისი ინსტიტუციური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები, დამოკიდებული არ არის მხოლოდ ახმეტის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ მთელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე და მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების წესზე. ეს გარემოება კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დამოკიდებულს ხდის მოზიდულ სახსრებსა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ

განსაზღვრულ პრიორიტეტებზე, რაც მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ფინანსური სტრატეგიის შემუშავებაში უმთავრეს რისკ ფაქტორს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი

მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა შეადგენს 28315,0 ათ. ლარს, გადასახდელების მოცულობაა 36 461,1 ათ. ლარი, ხოლო ნაშთის ცვლილება - 8146,0 ათ. ლარს.

დასახელება

2023 წლის გეგმა

	სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	28,315.0	20,377.0	7,938.0
შემოსავლები	27,952.0	20,014.0	7,938.0
არაფინანსური აქტივების კლება	363.0	363.0	-
გადასახდელები	36,461.1	24,387.9	12,073.2
ხარჯები	17,651.0	16,593.1	1,057.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	18,641.8	7,626.5	11,015.3
ვალდებულებების კლება	168.3	168.3	-
ნაშთის ცვლილება	- 8,146.0	- 4,010.9	- 4,135.1

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2024-2027 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2024-2027 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასევე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზრვა შემდეგნაირად:

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები						
დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
შემოსულობები	29,769.3	29,554.0	32,391.6	25,417.4	25,386.7	27,216.8
გადასახდელები	24,838.3	37,700.0	38,131.6	25,417.4	25,386.7	27,216.8
ნაშთის ცვლილება	4,931.0	(8,146.0)	(5,740.1)	-	-	-

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი						
დასახელება	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა	2024 წლის გეგმა	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
შემოსავლები	28,678.6	29,191.0	31,872.4	23,667.4	25,235.7	27,064.8
გადასახადები	15,536.4	18,998.4	21,063.8	22,634.3	24,305.7	26,134.8
გრანტები	11,812.4	8,960.9	10,024.3	458.1	355.0	355.0
მ.შ.	11,812.4	8,918.9	9,597.8	458.1	355.0	355.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები						
სხვა შემოსავლები	1,329.8	1,231.7	784.3	575.0	575.0	575.0
ხარჯები	14,075.6	18,248.5	20,343.4	20,363.4	22,449.0	24,417.7
შრომის ანაზღაურება	2,986.4	3,451.6	3,712.5	3,712.5	4,433.6	4,877.7
საქონელი და მომსახურება	2,019.2	3,136.9	2,749.1	2,749.1	2,387.1	2,430.1
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	-	-		-	1.0	2.0
პროცენტი	94.6	76.3	56.7	36.0	13.8	0.7
სუბსიდიები	7,750.3	9,934.1	11,766.7	12,631.2	13,932.4	15,281.2
გრანტები	109.5	109.1	115.0	115.0	115.0	115.0
სოციალური უზრუნველყოფა	538.9	745.9	1,006.9	1,064.4	1,166.6	1,287.6
სხვა ხარჯები	576.7	794.6	936.5	377.4	399.5	423.4

საოპერაციო საღდო	14,603.0	10,942.5	11,529.0	3,063.9	2,786.7	2,647.1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9,513.3	18,920.2	18,090.0	3,273.2	1,420.8	1,412.9
ზრდა	10,604.0	19,283.2	18,700.0	3,423.2	1,571.8	1,564.9
კლება	1,090.7	363.0	610.0	150.0	151.0	152.0
მთლიანი საღდო	5,089.7	- 7,977.7	-6,561.1	- 209.3	1,365.9	1,234.2
ფინანსური აქტივების ცვლილება	4,931.0	- 8,146.0	- 5,740.1	-	-	-
ზრდა	4,931.0	-	-	-	-	-
კლება	-	8,146.0	5,740.1	-	-	-
ვალდებულებების ცვლილება	158.7	168.3	- 821.0	- 209.3	1,365.9	1,234.2
ზრდა	-	-	1,000.0	1,600.0	-	-
საგარეო	-	-	-	-	-	-
საშინაო	-	-	1,000.0	1,600.0	-	-
კლება	158.7	168.3	179.0	1,390.7	1,365.9	1,234.2
საგარეო						
საშინაო	158.7	168.3	179.0	1,390.7	1,365.9	1,234.2
ბალანსი	- 0.0	0.0	- 0.0	- 0.0	- 0.0	-
მუნიციპალიტეტი ს ხარჯების ზრდის პროცენტული მაჩვენებელი	26.5	29.6	10.9	1.8	9.0	8.8
შიდა პროდუქტის პროგნოზირებულ ი ნომინალური ზრდის პროცენტული მაჩვენებლით (წყარო ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები)	19.6	8.9	8.4	8.2	8.1	8.2

2.2 გასული 2022 წლის და მიმდინარე 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულება

2022 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) და ნაშთის ცვლილების გეგმა განისაზღვრა 31670.1 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 33167.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 104.7%-ი.

ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 28336,0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29769,3 ათასი ლარი. წლიური გეგმის 105,1%. საანგარიშო პერიოდში 1433.3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის:

დასახელება	2022 წელი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	27936.0	28678.5	742.5	102,6
გადასახადები	15181.2	15536.4	355.2	102.3
გრანტები	11814.5	11812.4	-2.1	99,9
სხვა შემოსავლები	940.3	1329.8	389.5	141.4

არაფინანსური აქტივების კლებიდან 2022 წელს მობილიზებული იქნა 1090.7 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (400.0 ათასი ლარის) 272.7%-ია.

2022 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგენდა 3398,6 ათ. ლარი. ცენტრალური ბიუჯეტის ნაშთია 778,0 ათ. ლარი, ხოლო 2620,6 ათ. ლარი არის ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი, საიდანაც 42,5 ათ. ლარი არის სპეც. ტექნიკისათვის გამოყოფილი თანხის ნაშთი.

საანგარიშო წლის ბოლოსათვის ნაშთმა შეადგინა 8329,6 ათ.ლარი , აქედან, ცენტრალური ბიუჯეტის ნაშთია 4318,7 ათ.ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთია 4010,9 ათ.ლარი.

2022 წელს გადასახდელების საკასო შესრულების - 78.4%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით


დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი

ინფორმაცია 2022 წლის გადასახდელების შესახებ

ბიუჯეტის გადასახდელები

ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 31670,05 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 24838,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 78,4%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 14813,1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 14075,5 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებლის 95,0%.



ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:

დასახელება	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	ათას ლარებში შესრულების პროცენტული მაჩვენებელი
ხარჯები	14813,2	14075,5	95,0%
შრომის ანაზღაურება	3036,8	2986,4	98,3%
საქონელი და მომსახურება	2471,7	2019,2	81,7%
პროცენტი	95,0	94,6	99,6%
სუბსიდია	7933,5	7750,3	97,7%
გრანტი	109,5	109,5	100,0%
სოციალური უზრუნველყოფა	556,4	538,9	96,9
სხვა ხარჯები	610,3	576,6	94,5%

- არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 16698,2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯსაკმა - 10604,0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 63,5 %-ია.

- ვალდებულებების კლების მუხლით დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 158,7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 158,7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100 %-ია.

სსიპ "საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა" და ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის „ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში ახმეტის მუნიციპალიტეტისათვის კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანის და ნარჩენების კონტეინერის გადმოცემის მიზნით პროცენტის სახით გადახდილია 37.8 ათ. ლარი, ხოლო ვალდებულება შემცირებულია 76.3 ათ. ლარით. სესხის დაფარვის ბოლო თარიღია 2026 წლის აპრილი. "ახმეტის მუნიციპალიტეტში სოფელ მატნის სპორტსკოლის რესკონსტრუქციისა და შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის" გრძელვადიანი სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში 2022 წელს პროცენტის სახით გადახდილია 56.8 ათ. ლარი. ხოლო ვალდებულება შემცირებულია 82.4 ათ. ლარით. სესხის დაფარვის ბოლო თარიღია 2027 წლის მარტი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურა;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობა.

1. ინფრასტრუქტურა

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	13942,4	8727,8	62,6%
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	8226,3	4912,5	59,7%
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1664,0	1271,3	76,4%
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	950,7	603,3	63,5%
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	234,0	219,3	93,7%

02 02 03	ა(ა)იპ სოფლის სასმელი წყლის მოვლა-პატრონობის ცენტრი	479,3	448,7	93,6%
02 03	გარე განათება	578,5	537,2	92,9%
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	310	295,7	95,4%
02 03 04	ა(ა) იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური	263,2	236,3	89,8%
02 03 02	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	5,3	5,3	100%
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	43,1	33,2	77%
02 04 01	ბინათმშენებლობა	43,1	33,2	77%
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	312,3	300,2	96,1%
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	312,3	300,2	96,1%
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	996,7	878,5	88,1%
02 07	ტურიზმი	2121,4	794,9	37,5%
02 07 01	ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	2091,9	765,4	36,6%
02 07 02	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	29,5	29,5	100,0%

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2234.0	2029.9	90.8%
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	946.7	928.5	98.1%
03 02	გარემოს დაცვა	627.5	605.0	96.4%
03 02 01	თუშეთის დაცული ლანდშაფტი	368.6	352.8	95.7%
03 02 02	ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-ტარონობის ცენტრი	258.9	252.2	97.4%
03 03	კაპიტალური დაბანდებები გარემოს დაცვის სფეროში	582.2	432.5	74.3%
03 03 01	სანიაღვრე არხების მოწყობა	216.3	213.2	98.6%
03 03 02	ხევების გაწმენდა ნატანისგან	0	0	
03 03 03	სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა	54.0	25.4	47%
03 03 04	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	311.9	193.9	62.2%
03 04	დასუფთავების ღონისძიებები	77.6	63.8	82.2%

3. განათლება

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
04 00	განათლება	4838,6	4287,4	88,6%

04 01	სკოლამდელი განათლება	3,516.80	3160.3	89.9%
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	3124,8	3035,6	97,1%
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა (საბავშვო ბაღების არაფინანსური მერიაში)	1328,8	897,1	67,5%
04 02	ზოგადი განათლება	384,9	354,6	92,1%

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2022წლის ფაქტი	შესრულება %-ში
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2781.7	2473.7	88.9%
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1456.0	1340.4	92.1%
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1011.5	990.8	97.9%
05 01 01 01	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა	557.6	546.1	97.9%
05 01 01 02	ძიუდოს განვითარების ხელშეწყობა ა(ა)იპ ზ. ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლა	257.5	249.8	97.0%
05 01 01 03	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა "ბახტრიონი"	196.4	194.9	99.2%
05 01 02	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	32.7	11.3	34.6%
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	411.8	338.2	82.1%
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1719.8	1684.6	97.9%
05 02 01 01	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა ა(ა)იპ კულტურის ცენტრი	599.2	592.2	98.8%
05 02 01 02	ა(ა)იპ სამუსიკო სკოლების გაერთიანება	194.3	190.2	97.9%
05 02 01 03	ა(ა)იპ მამიაურის სახელობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლა	263.1	260.7	99.1%
05 02 03	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	663.2	641.5	96.7%
05 02 03 02	კლუბები	663.2	641.5	96.7%
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	237.9	230.3	96.8%
05 04	საინფორმაციო ცენტრი	64.6	57.7	89.3%

**5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
(პროგრამული კოდი 06 00)**

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1740.4	1639.2	94.2%
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	173.2	123.3	71.2%
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	89.6	85.8	95.8%
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	83.6	37.5	44.9%
06 02	სოციალური დაცვა	1567.1	1515.8	96.7%
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	365.5	364.6	89.8%
06 02 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	169.2	157.9	93.3%
06 02 02 02	სტიქიური უბედურებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება	442.0	427.1	96,6%
06 02 02 03	მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების პროგრამა	28.0	25.5	91.1%
06 02 03	უმწეოთათვის უფასო კვების პროგრამა	509.5	490.3	96.2%
06 02 06	ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	12.9	10.3	79.8%
06 02 05	წითელი ჯვრის საზოგადოების თანადაფინანსების პროგრამა	40.0	40.0	100.0%

2023 წლის ბიუჯეტის 6 თვის მაჩვენებლები

მუნიციპალიტეტის 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 33622.8 ათას ლარს. ბიუჯეტის შემოსავლების სახით 2023 წლის 6 თვის მონაცემებით მობილიზებულია 12313,6 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (25476.7 ათასი ლარი) 48.3%-ია, მათ შორის:

გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ 6 თვეში შეადგინა 9623,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (18129.8 ათასი ლარი) 53.1%-ია;

გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 1877,8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (6253.9 ათასი ლარი) 30.0%-ია.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 582,7 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (923.0 ათასი ლარი) 63.1%-ია

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მობილიზებულია 230,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (150.0 ათასი ლარი) 153,5%-ია

2023 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 8329,6 ათასი ლარი.

ახმეტის ბიუჯეტის 2021–2023 წლის შემოსულობების შესახებ (ათას ლარებში)

	2021 წლის 6 თვე	2022 წლის 6 თვე	2023 წლის 6 თვე
გადასახადები	5,262.9	7,403.3	9623.0
ქონების გადასახადი	1,190.3	1,277.3	1765.5
დღგ	4,072.6	6,126.0	7857.5
გრანტები	990.3	1,776.7	1877.8
სხვა შემოსავლები	363.0	499.0	582.6
შემოსავლები საკუთრებიდან	196.4	259.6	394.6
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	38.4	32.6	70.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	78.2	199.2	102.2
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	50.0	7.6	15.8
არაფინანსური აქტივების კლება	39.1	392.2	230.2
შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	25.9	17.5	27.7
შემოსულობა არაწარმოებლური აქტივების (მიწის) გაყიდვიდან	13.2	374.7	202.5
ფინანსური აქტივების კლება	-	-	-
სულ შემოსულობების ჯამი	6,655.3	10,071.2	12313.6

2023 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 6 თვის განმავლობაში მიმართულ იქნა 13693,8 ათასი ლარი (წლიური გეგმის 33622.8 ათასი ლარის 40.7%-ი). მათ შორის:

- **01 00** - მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების გეგმა 5669.8 ათ. ლარი - შესრულება 2652.9 ათ. ლარი. გეგმის 46.8%, აქედან:
- **02 00** - ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გეგმით გათვალისწინებული იყო 13178,2 ათ. ლარი. გახარჯულია 4483,2 ათ. ლარი. გეგმის 34,0 %. აქედან:

- 03 00 - დასუფთავება და გარემოს დაცვის გეგმით გათვალისწინებული იყო 3473,2 ათ. ლარი. გახარჯულია 1749,0 ათ. ლარი. გეგმის 50,3%. აქედან:
- 04 00 - განათლების მიმართულებით გასაწევი ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებელია 6307,8 ათ. ლარი. გახარჯულია 2819,1 ათ. ლარი. გეგმის 44, 7%. აქედან:
- 05 00 - კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის მიმართულებით გასაწევი ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებელია 3196,2 ათ. ლარი. გახარჯულია 1339.1 ათ. ლარი. გეგმის 41,9 %.
- 06 00 - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, გეგმით გათვალისწინებულია 1797,5 ათ. ლარი. გახარჯულია 652,4 ათ. ლარი. გეგმის 36,3 %. აქედან:

თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

თვითმმართველი ერთეული ახმეტის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2024-2027 წლებში ახმეტის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ახმეტის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდველი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით ახმეტის მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწყოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპალიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

2023 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, ჩატარდა სხვადასხვა კვლევები, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა შეხვედრები. შემუშავდა 2024 – 2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ❖ ინფრასტრუქტურა;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- ❖ განათლება;
- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ❖ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება.

2024-2027 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით					
პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება	7212,6	7,380.20	7,791.50	8,147.70
	მ.შ. რიცხოვნობა	177	177	177	177
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
02 00	ინფრასტრუქტურა	14840,4	2,231.00	2,443.70	2,567.60
	მ.შ. რიცხოვნობა	63	63	63	63
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3892.1	3,139.8	3,101.80	3,403.70
	მ.შ. რიცხოვნობა	158	158	158	158
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
04 00	განათლება	5726.3	5,485.70	6,062.70	6,611.80
	მ.შ. რიცხოვნობა	406	406	406	406

	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
05 00	კულტურა, ახალგაზრდული და სპორტი	4978.4	5,159.90	3,773.30	4,046.80
	მ.შ. რიცხოვნობა	369	369	369	369
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2544.7	2,020.80	2,212.70	2,437.20
	მ.შ. რიცხოვნობა	43	43	43	43
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
სულ ჯამი		39222,4	25,417.4	25,385.7	27,214.8
მ.შ. რიცხოვნობა		1,216.0	1,216.0	1,216.0	1,216.0
მ.შ. ახალი ინიციატივები		-	-	-	-

შენიშვნა: რიცხოვნობაში ჩართულია შესაბამის სფეროში არსებული ააიპ-ების თანამშრომლების რიცხოვნობაც.

2024-2027 წლებში ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით (საკუთარი შემოსულობების ფარგლებში)					
პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება	7212,6	7,380.20	7,791.50	8,147.70
	მ.შ. რიცხოვნობა	177	177	177	177
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
02 00	ინფრასტრუქტურა	5446,0	2,231.00	2,443.70	2,567.60
	მ.შ. რიცხოვნობა	63	63	63	63
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3471.3	3,139.8	3,101.80	3,403.70
	მ.შ. რიცხოვნობა	158	158	158	158
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
04 00	განათლება	4937.7	5,485.70	6,062.70	6,611.80
	მ.შ. რიცხოვნობა	406	406	406	406

	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
05 00	კულტურა, ახალგაზრდული და სპორტი	4978.4	3,559.90	3,773.30	4,046.80
	მ.შ. რიცხოვნობა	369	369	369	369
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2126.3	2,020.80	2,212.70	2,437.20
	მ.შ. რიცხოვნობა	43	43	43	43
	მ.შ. ახალი ინიციატივები	-	-	-	-
სულ ჯამი		28200,2	23,817.4	25,385.7	27,214.8
მ.შ. რიცხოვნობა		1,216.0	1,216.0	1,216.0	1,216.0
მ.შ. ახალი ინიციატივები		-	-	-	-

შენიშვნა: რიცხოვნობაში ჩართულია შესაბამის სფეროში არსებული ააიპ-ების თანამშრომლების რიცხოვნობაც.

ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	14,840.4	2,231.0	2,443.7	2,567.6
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	10,240.7	200.0	200.0	200.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,487.5	1,045.5	1,218.6	1,299.6
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	646.5	153.4	270.4	288.7
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	250.0	250.0	250.0	250.0
02 02 03	ა(ა)იპ სოფლის სასმელი წყლის მოვლა-პატრონობის ცენტრი	591.0	642.1	698.2	760.9
02 03	გარე განათება	745.0	746.0	785.6	828.5
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	350.0	350.0	350.0	350.0
02 03 04	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური	395.0	396.0	435.6	478.5
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	74.0			
02 04 01	ბინათმშენებლობა	74.0			
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	892.6	10.0	10.0	10.0
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	892.6	10.0	10.0	10.0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1,152.1	-	-	-
02 07	ტურიზმი	248.5	229.5	229.5	229.5
02 07 01	ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	219.0	200.0	200.0	200.0
02 07 02	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	29.5	29.5	29.5	29.5

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში			
	02 01		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
			10,240.7	200.0	200.0	200.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური					

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე შეადგენს 524,6 კილომეტრს. აქედან 31,5% (165,3 კმ) მოასფალტებულია, ხოლო დანარჩენი გრუნტის გზაა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და განახლება, ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას. ასევე განხორციელდება დაზიანებული ქვაფენილების და ტროტუარების აღდგენა-რეაბილიტაცია და მოპირკეთება ასფალტო-ბეტონის საფარით.</p> <p>აგრეთვე, პროგრამის მიზანია თუშეთში, ალტერნატიული გრუნტის გზებისა და მასთან დაკავშირებული ნაგებობების მოწყობა (მათ შორის წოვათას მხარეში ახალი გზის გაყვანა და ორი არსებული გზის ერთმანეთთან შეერთება)</p>
<p>პროგრამის მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება, მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან და მოსახლეობის მოთხოვნიდან ახალი გზების მშენებლობა და არსებულის რეაბილიტაცია</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში			
	02 02		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
				1,487.5	1,045.5	1,218.6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური					
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის ფარგლებში შემავალ ყველა სოფელში. ამჟამად მუნიციპალიტეტის სოფლებში ფუნქციონირებს 39 ჭაბურღილი, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის წყლის მიწოდებას სხვადასხვა გრაფიკით. თუმცა კიდევ რჩება წყლის პრობლემა დიდ გამოწვევად და საჭიროა ახალი ჭაბურღილების დამატება ან არსებულის რეაბილიტაცია. პროგრამის მიზანია მოსახლეობისთვის სასმელი წყლის შეუფერხებელი მიწოდება					
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისთვის სასმელი წყლის შეუფერხებელი მიწოდება					

	კოდი		დაფინანსება ათას ლარებში
--	------	--	--------------------------

ქვეპროგრამის დასახელება	02 02 01	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
			646.5	153.4	270.4	288.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას, ახალი ჭაბურღილების მოწყობას და აღნიშნული სისტემების გამართულად ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სამუშაოების წარმოებას. ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე მოსახლეობისთვის მუდმივი სასმელი წყლის მიწოდება					
მოსალოდნელი შედეგი	სასმელი წყლით შეუფერხებელი სარგებლობა					

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარებში			
	02 02 02		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
			250.0	250.0	250.0	250.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური					
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ჭაბურღილებზე მოხმარებული ელ. ენერჯის საფასურის გადახდა. 1 კვტ.სთ-ის ღირებულებაა 0.3196. ამჟამად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 39 ჭაბურღილი, რომელიც უზრუნველყოფს წყლის მიწოდებას სხვადასხვა გრაფიკით. ქვეპროგრამის მიზანია ჭაბურღილებზე მოხმარებული ელ. ენერჯის გადასახადის დროული გადახდა					
მოსალოდნელი შედეგი	სასმელი წყლით შეუფერხებელი სარგებლობა					

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარებში			
	02 02 03		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
			591.00	642.1	698.2	760.9

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრი
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სოფლებში არსებული ჭაბურღილების მოვლა-პატრონობას და სასმელი წყლის ქსელების შეცვლა-შეკეთების სამუშაოების ჩატარებას (ძველი ქსელების შეცვლა ახლით). სასმელი წყლის სათავე ნაგებობების შეკეთება, გაწმენდა, წყლის დაქლორვას. ორგანიზაციაში დასაქმებული 40 თანამშრომლიდან ქალი არის 6, მამაკაცი 34.
ქვეპროგრამის მიზანი	ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობისათვის სასმელი წყლის შეუფერხებელი მიწოდება
მოსალოდნელი შედეგი	სასმელი წყლის სისტემის გამართული ფუნქციონირება

კოდი	პროგრამის დასახელება	გარე განათება	დაფინანსება ათას ლარებში			
			2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
02 03			745.00	726.0	775.6	828.5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური					
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება. ქალაქისა და სოფლების ქუჩებში გარე განათების ახალი ქსელების მოწყობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელებზე გახარჯული ელექტრო-ენერჯის საფასურის გადახდა. გარე განათების მოვლა პატრონობას უზრუნველყოფს ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური.</p> <p>მუნიციპალიტეტის 111 სოფლიდან თუშეთის სოფლებში და ბარის 5 სოფელში არ არის ელექტრო ენერჯია, მათში ელ. ენერჯით უზრუნველყოფა ხდება მზის პანელების მეშვეობით, ხოლო დანარჩენი სოფლებიდან, სადაც არსებობს ელ. ენერჯია, 5 სოფლის გარდა ყველგან არის მოწყობილი გარე განათების წერტილები, ეს 5 სოფელია: ვემები, ხევსჭალა, ახალდაბა, ჩარექაული და კოჯორი. ამ სოფლებშიც მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად ეტაპობრივად განხორციელდება გარე განათების მოწყობა</p> <p>პროგრამის მიზანია მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა განათებული ქუჩებითა და გზებით. მათ შორის უზრუნველყოფილი იქნება ქალებისა და ბავშვების უსაფრთხო გადაადგილება</p>					
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისთვის შექმნილია უსაფრთხო გარემო - განათებული ქუჩებითა და გზებით.					

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარებში			
	02 03 01		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი

			350.00	350.0	350.0	350.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელებზე გახარჯული ელექტრო-ენერგიის საფასურის გადახდა.					
ქვეპროგრამის შედეგი	მოსახლეობისთვის შექმნილია უსაფრთო გარემო - განათებული ქუჩებითა და გზებით.					

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარებში			
	02 03 04		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
			395.00	396.0	435.6	478.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების 70%-მდე მოწყობილია გარე განათების სისტემები, მათ შორის მოკლე ჩართვის შედეგად ავარიული მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად ძველი სადენების დიდი ნაწილი შეცვლილია ახალი იზოლირებული სადენებით და მიმდინარეობს დარჩენილი ნაწილის შეცვლა ახლით. ასევე ხორციელდება შეკეთება-რეკონსტრუქცია დაზიანებული უბნების. ელექტრო ენერგიის დაზოგვის მიზნით ძველი ნათურები იცვლება ენერგოეფექტური ნათურებით</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია, მუნიციპალიტეტის გარე განათების სისტემები იყოს ეკონომიური და მოსახლეობას შეეძლოს ღამის განმავლობაში შეუფერხებლად გადაადგილება</p> <p>ორგანიზაციაში დასაქმებული 17 თანამშრომლიდან ქალი არის 5, მამაკაცი 12.</p>					
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ახმეტის მუნიციპალიტეტში ღამის განათების უსაფრთხო და გამართული ფუნქციონირება					

პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარებში			
	02 05		2024 წ.	2025 წ.	2026 წ.	2027 წ.
			892.6	10,0	10,0	10,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური					

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის განხორციელებით საგრძნობლად უმჯობესდება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა, იერსახე და მოსახლეობის დასვენების პირობები. დაგეგმილია სკვერებისა და პარკების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვებისა და ქალების საჭიროებები.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ასევე სკვერებში გახარჯული წყლის გადასახადი.</p>
<p>პროგრამის მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მოწყობილი სკვერები</p>

კოდი			დაფინანსება ათას ლარებში			
02 06	პროგრამის დასახელება	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2024 წ.	2025 წ.	2026 წ.	2027 წ.
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>		<p>ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური</p>	1152,1	198,0	220,0	242,0
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>		<p>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა და თანხის გამოყოფა ხდება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №654-ის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მოსახლეობის რაოდენობის თაობაზე სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს თითოეული დასახლებისთვის განსაზღვრული თანხის გაანგარიშებას. თანხის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპის დაცვით:</p> <p>ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი;</p> <p>ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 12 000 ლარი;</p> <p>გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 16 000 ლარი;</p> <p>დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 20 000 ლარი.</p>				
<p>ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი</p>		<p>მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე სოფლებში მოწყობილია სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურა</p>				

კოდი	პროგრამის დასახელება	ტურიზმი	დაფინანსება ათას ლარებში			
			2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
02 07			248.5	229,5	229,5	229,5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური				
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებს ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საერთაშორისო პროექტების განყოფილება, რომელიც უცხოელ და ადგილობრივ ტურისტებს აწვდის ინფორმაციას ტურისტული ინფრასტრუქტურის, ტურისტული ადგილების, ტურისტული პროგრამების, ტრანსპორტის, ბუნების ძეგლების, დაცული ტერიტორიების, არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების, კულტურული ღონისძიებების, ფესტივალების, სახალხო დღესასწაულებისა და სხვა საკითხების შესახებ.</p> <p>ახმეტის მუნიციპალიტეტში განვითარებული ტურიზმის შემდეგი სახეობები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საფეხმავლო ტურიზმი; ➤ საცხენოსნო ტურიზმი; ➤ ეკო ტურიზმი; ➤ აგრო ტურიზმი. <p>ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით კახეთის მუნიციპალიტეტებმა დაარსეს ორგანიზაცია ა(ა)იპ „კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთი“. აღნიშნული ა(ა)იპ-ის მიზანია ტურიზმის დაგეგმვა და განვითარება, კახეთის რეგიონის უნიკალური თვისებების გამოყენება, როგორცაა უძველესი ღვინის კულტურა და ღვინის წარმოების ტრადიციები, ადგილობრივი სამზარეულო, ლამაზი სოფლები, კახეთის უნიკალური ბუნება. ამით სარგებლობას იღებს როგორც ტურისტი ასევე ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები. ასევე, პროგრამის ფარგლებში მოეწყობა სხვადასხვა ტურისტული ინფრასტრუქტურა.</p>				
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი		ტურიზმის განვითარება და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა				

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	დაფინანსება ათას ლარებში			
			2024 წ.	2025 წ.	2026 წ.	2027 წ.
02 07 01						

			219,0	200,0	200,0	200,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ადმინისტრაციული სამსახურები					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და დონორებისგან მოზიდული პროექტების თანადაფინანსება (UNDP, GIZ, EU და ა.შ.)</p> <p>ბახტრიონის ტყე პარკის და გადმოსახედის მოწყობა (GIZ)</p> <p>პროექტი ითვალისწინებს ახალი ეკოტურისტული სივრცის შექმნას, სადაც მოეწყობა გადასახედი, საპიკნიკე, საკემპინგე, მინი სცენა, გამოფენა სივრცე და სხვა მოსასვენებელი და გასართობი სივრცე, ასევე მისასვლელი გზა, პარკინგი, წყარო და სველი წერტილები</p> <p>GIZ პროექტი ECO ჯორჯიას პროექტის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსი - ეკო განათლება და ეკოტურიზმი თანადაფინანსების თანხა შეადგენს 23 000 ლარს</p> <p>2024 განსახორციელებელი ერთერთი პროექტია გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში ფონდის გლობალური სტრატეგიის შესაბამისად დაგეგმილია განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული ენერგეტიკული ტექნოლოგიების დანერგვა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოჭორნაში პროექტით: „განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების ინიციატივა თუშეთის სოფ. ბოჭორნაში“. აღნიშნული პროექტის თანადაფინანსება შეადგენს 46,0 ათ. ლარს.</p>					
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებული დაფინანსება ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის					

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში			
			2024 წ.	2025 წ.	2026 წ.	2027 წ.
02 07 02			29,5	29,5	29,5	29,5

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით კახეთის მუნიციპალიტეტებმა დაარსეს ორგანიზაცია ა(ა)იპ „კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთი“. აღნიშნული ა(ა)იპ-ის მიზანია ტურიზმის დაგეგმვა და განვითარება, კახეთის რეგიონის უნიკალური თვისებების გამოყენება, როგორცაა უძველესი ღვინის კულტურა და ღვინის წარმოების ტრადიციები, ადგილობრივი სამზარეულო, ლამაზი სოფლები, კახეთის უნიკალური ბუნება. ამით სარგებლობას იღებს როგორც ტურისტი ასევე, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები.
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ტურიზმის ხელშეწყობა

დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარემოს დაცვა, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქში არსებული სასაფლაოების მოვლა-დასუფთავება. თუშეთის დაცული ლანდშაფტის მოვლა-პარონობა; მდინარეების კალაპოტის რეგულირება, სანიაღვრე არხების მოწყობა.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,892.1	3,139.8	3,101.8	3,403.7
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,436.9	1,393.7	1,532.3	1,685.2
03 02	გარემოს დაცვა	1,052.4	1,008.3	1,108.8	1,218.8
03 02 01	თუშეთის დაცული ლანდშაფტი	619.4	565.0	621.5	683.1
03 02 02	ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-ტარონობის ცენტრი	433.0	443.3	487.3	535.7

03 03	კაპიტალური დაბანდებები გარემოს დაცვის სფეროში	1,402.8	737.8	460.7	499.7
03 03 01	სანიაღვრე არხების მოწყობა	305.9	209.0	231.0	253.0
03 03 02	ხევების გაწმენდა ნატანისგან	-			
03 03 03	სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა	848.9	413.8	103.7	103.7
03 03 04	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	248.0	115.0	126.0	143.0
03 04	დასუფთავების ღონისძიებები				

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დაფინანსება ათას ლარებში			
	03 01		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
				1,436.9	1,393.7	1,532.3
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური					
პროგრამის აღწერა	<p>ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველდღიურად დაგვა დასუფთავებას და ნარჩენების გატანას. იგეგმა ქ. ახმეტის ქუჩები, რომლის საერთო ფართობი 97000 კვ.მ, ასევე სოფელ მატანის და ზემო და ქვემო ალვანის ქუჩები. კვირაში სამჯერ სუფთავდება ცენტრალური გზები გადანაყარისაგან. ხდება სანიაღვრე არხების გაწმენდა, რომლის საერთო სიგრძეა 430 კმ, გრაფიკის მიხედვით ხორციელდება ნარჩენების გატანა გულგულის ნაგავსაყრელზე. პერიოდულად ითიბება ცენტრალური ქუჩების მიმდებარე ტერიტორიები და სუფთავდება ანასხლავი ტოტებისგან.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიური მოწესრიგება, ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა. ნარჩენების სწორად მართვა და დახარისხება, განხორციელდება ცალკეული ტერიტორიების მწვანე საფარის, ქუჩებისა და სხვა საჯარო სივრცეების დაგვა-დასუფთავების, მორწყვა-მორეცხვის, სანიაღვრე არხების ნატანისგან გაწმენდის სამუშაოები.</p> <p>ორგანიზაციაში დასაქმებული 93 თანამშრომლიდან ქალი არის 48, მამაკაცი 45.</p>					
პროგრამის მიზანი	ახმეტის მუნიციპალიტეტში სუფთა გარემოს უზრუნველყოფა					

პროგრამის დასახელება	კოდი	გარემოს დაცვა	დაფინანსება ათას ლარებში			
	03 02		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
			1,052.4	1,008.3	1,108.8	1,218.8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია; ა(ა)იპ "თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია", ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი					
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თუშეთის დაცული ლანდშაფტის, სამუხის ტერიტორიის, ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობა					
პროგრამის მოსალოდნელი შედეგი	ახმეტის მუნიციპალიტეტის ტრადიციული იერსახის შენარჩუნება, ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის შენარჩუნება, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების უზრუნველყოფა					

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	თუშეთის დაცული ლანდშაფტი	დაფინანსება ათას ლარებში			
	03 02 01		2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
			619.4	565.0	621.5	683.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ "თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია"					
მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, საცხოვრებელი უბნების, ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	14,840.4
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	10,240.7
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1,487.5
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	646.5
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	250.0
02 02 03	ა(ა)იპ სოფლის სასმელი წყლის მოვლა-პატრონობის ცენტრი	591.0
02 03	გარე განათება	745.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	350.0
02 03 04	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური	395.0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	74.0
02 04 01	ბინათმშენებლობა	74.0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	892.6
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	892.6
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1,152.1
02 07	ტურიზმი	248.5
02 07 01	ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	219.0
02 07 02	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	29.5

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში
	02 01		2024 წელი
			10,240.7

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე შეადგენს 524,6 კილომეტრს. აქედან 31,5% (165,3 კმ) მოასფალტებულია, ხოლო დანარჩენი გრუნტის გზაა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და განახლება, ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას. ასევე განხორციელდება დაზიანებული ქვაფენილების და ტროტუარების აღდგენა-რეაბილიტაცია და მოპირკეთება ასფალტო-ბეტონის საფარით.</p> <p>აგრეთვე, პროგრამის მიზანია თუშეთში, ალტერნატიული გრუნტის გზებისა და მასთან დაკავშირებული ნაგებობების მოწყობა (მათ შორის წოვათას მხარეში ახალი გზის გაყვანა და ორი არსებული გზის ერთმანეთთან შეერთება).</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში
	02 02		2024 წელი
			1,487.5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს, ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის ფარგლებში შემავალ ყველა სოფელში. ამჟამად მუნიციპალიტეტის სოფლებში ფუნქციონირებს 39 ჭაბურღილი, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის წყლის მიწოდებას სხვადასხვა გრაფიკით. თუმცა კიდევ რჩება წყლის პრობლემა დიდ გამოწვევად და საჭიროა ახალი ჭაბურღილების დამატება ან არსებულის რეაბილიტაცია.</p> <p>პროგრამის მიზანია მოსახლეობისთვის სასმელი წყლის შეუფერხებელი მიწოდება</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარებში
	02 02 01		2024 წელი

			646.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას, ახალი ჭაბურღილების მოწყობას და აღნიშნული სისტემების გამართულად ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სამუშაოების წარმოებას.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე მოსახლეობისთვის მუდმივი სასმელი წყლის მიწოდება</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარებში
	02 02 02		2024 წელი
			250,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ჭაბურღილებზე მოხმარებული ელ. ენერჯის საფასურის გადახდა. 1 კვტ.სთ-ის ღირებულებაა 0.3196. ამჟამად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 39 ჭაბურღილი, რომელიც უზრუნველყოფს წყლის მიწოდებას სხვადასხვა გრაფიკით.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ჭაბურღილებზე მოხმარებული ელ. ენერჯის გადასახადის დროული გადახდა</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარებში
	02 02 03		2024 წელი
			591.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ააიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრი		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სოფლებში არსებული ჭაბურღილების მოვლა-პატრონობას და სასმელი წყლის ქსელების შეცვლა-შეკეთების სამუშაოების ჩატარებას (ძველი ქსელების შეცვლა ახლით). სასმელი წყლის სათავე ნაგებობების შეკეთება, გაწმენდა, წყლის დაქლორვას.</p> <p>ორგანიზაციაში დასაქმებული 40 თანამშრომლიდან ქალი არის 6, მამაკაცი 34.</p>
-------------------------------	--

კოდი			დაფინანსება ათას ლარებში
02 03	პროგრამის დასახელება	გარე განათება	2024 წელი
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური	745.0
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება. ქალაქისა და სოფლების ქუჩებში გარე განათების ახალი ქსელების მოწყობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელებზე გახარჯული ელექტრო-ენერჯის საფასურის გადახდა. გარე განათების მოვლა-პატრონობას უზრუნველყოფს ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური.</p> <p>მუნიციპალიტეტის 111 სოფლიდან თუშეთის სოფლებში და ბარის 5 სოფელში არ არის ელექტრო ენერჯია, მათში ელ. ენერჯიით უზრუნველყოფა ხდება მზის პანელების მეშვეობით, ხოლო დანარჩენი სოფლებიდან, სადაც არსებობს ელ. ენერჯია, 5 სოფლის გარდა ყველგან არის მოწყობილი გარე განათების წერტილები, ეს 5 სოფელია: ვემები, ხვეისჭალა, ახალდაბა, ჩარექაული და კოჯორი. ამ სოფლებშიც მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად ეტაპობრივად განხორციელდება გარე განათების მოწყობა.</p> <p>პროგრამის მიზანია მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა განათებული ქუჩებითა და გზებით. მათ შორის უზრუნველყოფილი იქნება ქალებისა და ბავშვების უსაფრთხო გადაადგილება.</p>	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი		დაფინანსება ათას ლარებში
	02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	2024 წელი
			350.0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელებზე გახარჯული ელექტრო-ენერჯის საფასურის გადახდა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების მოვლა-პატრონობა	დაფინანსება ათას ლარებში
	02 03		2024 წელი
	04		395,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების 70%-მდე მოწყობილია გარე განათების სისტემები, მათ შორის მოკლე ჩართვის შედეგად ავარიული მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად ძველი სადენების დიდი ნაწილი შეცვლილია ახალი იზოლირებული სადენებით და მიმდინარეობს დარჩენილი ნაწილის შეცვლა ახლით. ასევე ხორციელდება შეკეთება-რეკონსტრუქცია დაზიანებული უბნების. ელექტრო ენერჯის დაზოგვის მიზნით ძველი ნათურები იცვლება ენერგოეფექტური ნათურებით</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია, მუნიციპალიტეტის გარე განათების სისტემები იყოს ეკონომიური და მოსახლეობას შეეძლოს ღამის განმავლობაში შეუფერხებლად გადაადგილება.</p> <p>ორგანიზაციაში დასაქმებული 17 თანამშრომლიდან ქალი არის 5, მამაკაცი 12.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარებში
	02 05		2024 წ.
			892.6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის განხორციელებით საგრძნობლად უმჯობესდება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა, იერსახე და მოსახლეობის დასვენების პირობები. დაგეგმილია სკვერებისა და პარკების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, სადაც, მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვებისა და ქალების საჭიროებები.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ასევე, სკვერებში გახარჯული წყლის გადასახადი.</p>		

კოდი			დაფინანსება ათას ლარებში
02 06	პროგრამის დასახელება	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2024 წელი
			1,152.1
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევა და თანხის გამოყოფა ხდება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №654-ის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მოსახლეობის რაოდენობის თაობაზე სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს თითოეული დასახლებისთვის განსაზღვრული თანხის გაანგარიშებას. თანხის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპის დაცვით:</p> <p>ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი;</p> <p>ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 12 000 ლარი;</p> <p>გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 16 000 ლარი;</p> <p>დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 20 000 ლარი.</p>		

კოდი			დაფინანსება ათას ლარებში
02 07	პროგრამის დასახელება	ტურიზმი	2024 წელი
			248.5

<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური</p>
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებს ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საერთაშორისო პროექტების განყოფილება, რომელიც უცხოელ და ადგილობრივ ტურისტებს აწვდის ინფორმაციას ტურისტული ინფრასტრუქტურის, ტურისტული ადგილების, ტურისტული პროგრამების, ტრანსპორტის, ბუნების ძეგლების, დაცული ტერიტორიების, არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების, კულტურული ღონისძიებების, ფესტივალების, სახალხო დღესასწაულებისა და სხვა საკითხების შესახებ.</p> <p>ახმეტის მუნიციპალიტეტში განვითარებული ტურიზმის შემდეგი სახეობები:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საფეხმავლო ტურიზმი; ➤ საცხენოსნო ტურიზმი; ➤ ეკო ტურიზმი; ➤ აგრო ტურიზმი. <p>ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით კახეთის მუნიციპალიტეტებმა დაარსეს ორგანიზაცია ა(ა)იპ „კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთი“. აღნიშნული ა(ა)იპ-ის მიზანია ტურიზმის დაგეგმვა და განვითარება, კახეთის რეგიონის უნიკალური თვისებების გამოყენება, როგორცაა უძველესი ღვინის კულტურა და ღვინის წარმოების ტრადიციები, ადგილობრივი სამზარეულო, ლამაზი სოფლები, კახეთის უნიკალური ბუნება. ამით სარგებლობას იღებს, როგორც ტურისტი ასევე, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები. ასევე, პროგრამის ფარგლებში მოეწყობა სხვადასხვა ტურისტული ინფრასტრუქტურა.</p>

<p>კოდი</p>	<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა</p>	<p>დაფინანსება ათას ლარებში</p>
<p>02 07 01</p>			<p>2024 წ.</p>
			<p>219,0</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ადმინისტრაციული სამსახურები</p>		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და დონორებისგან მოზიდული პროექტების თანადაფინანსება (UNDP, GIZ, EU და ა.შ.)</p> <p>ბახტრიონის ტყე პარკის და გადმოსახედის მოწყობა (GIZ)</p> <p>პროექტი ითვალისწინებს ახალი ეკოტურისტული სივრცის შექმნას, სადაც მოეწყობა გადასახედი, საპიკნიკე, საკემპინგე, მინი სცენა, გამოფენა სივრცე და სხვა მოსასვენებელი და გასართობი სივრცე, ასევე მისასვლელი გზა, პარკინგი, წყარო და სველი წერტილები</p> <p>GIZ პროექტი ECO ჯორჯიას პროექტის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსი - ეკო განათლება და ეკოტურიზმი თანადაფინანსების თანხა შეადგენს 23 000 ლარს</p> <p>2024 განსახორციელებელი ერთერთი პროექტია გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში ფონდის გლობალური სტრატეგიის შესაბამისად დაგეგმილია განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული ენერგეტიკული ტექნოლოგიების დანერგვა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოჭორნაში პროექტით: „განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების ინიციატივა თუშეთის სოფ. ბოჭორნაში“. აღნიშნული პროექტის თანადაფინანსება შეადგენ 46,0 ათ. ლარს.</p>
-------------------------------	--

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში
02 07 02			2024 წ.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური			29,5
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია</p> <p>ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით კახეთის მუნიციპალიტეტებმა დაარსეს ორგანიზაცია ა(ა)იპ „კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - ვიზით კახეთი“. აღნიშნული ა(ა)იპ-ის მიზანია ტურიზმის დაგეგმვა და განვითარება, კახეთის რეგიონის უნიკალური თვისებების გამოყენება, როგორცაა უძველესი ღვინის კულტურა და ღვინის წარმოების ტრადიციები, ადგილობრივი სამზარეულო, ლამაზი სოფლები, კახეთის უნიკალური ბუნება. ამით სარგებლობას იღებს როგორც ტურისტი ასევე, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები.</p>		

1. დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარემოს დაცვა, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქში არსებული სასაფლაოების მოვლა-დასუფთავება. თუშეთის დაცული ლანდშაფტის მოვლა-პატრონობა; მდინარეების კალაპოტის რეგულირება, სანიაღვრე არხების მოწყობა.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,892.1
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,436.9
03 02	გარემოს დაცვა	1,052.4
03 02 01	თუშეთის დაცული ლანდშაფტი	619.4
03 02 02	ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი	433.0
03 03	კაპიტალური დაბანდებები გარემოს დაცვის სფეროში	1,402.8
03 03 01	სანიაღვრე არხების მოწყობა	305.9
03 03 03	სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა	848.9
03 03 04	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	248.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დაფინანსება ათას ლარებში
	03 01		2024 წელი
			1,436.9
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური		

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველდღიურად დაგვა დასუფთავებას და ნარჩენების გატანას. იგვება ქ. ახმეტის ქუჩები, რომლის საერთო ფართია 97000 კვ.მ, ასევე სოფელ მატანის და ზემო და ქვემო ალვანის ქუჩები. კვირაში სამჯერ სუფთავდება ცენტრალური გზები გადანაყარისაგან. ხდება სანიაღვრე არხების გაწმენდა, რომლის საერთო სიგმა 430 კმ, გრაფიკის მიხედვით ხორციელდება ნარჩენების გატანა გულგულის ნაგავსაყრელზე. პერიოდულად ითიბება ცენტრალური ქუჩების მიმდებარე ტერიტორიები და სუფთავდება ანასხლავი ტოტებისგან.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიური მოწესრიგება, ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა. ნარჩენების სწორად მართვა და დახარისხება, განხორციელდება ცალკეული ტერიტორიების მწვანე საფარის, ქუჩებისა და სხვა საჯარო სივრცეების დაგვა-დასუფთავების, მორწყვა-მორეცხვის, სანიაღვრე არხების ნატანისაგან გაწმენდის სამუშაოები.</p> <p>ორგანიზაციაში დასაქმებული 93 თანამშრომლიდან ქალი არის 48, მამაკაცი 45.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ახმეტის მუნიციპალიტეტში სუფთა გარემოს უზრუნველყოფა.</p>
-----------------------------------	---

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი 03 02</p>	<p>გარემოს დაცვა</p>	<p>დაფინანსება ათას ლარებში 2024 წელი 1,052.4</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია; ა(ა)იპ "თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია", ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი</p>		
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თუშეთის დაცული ლანდშაფტის, სამუხის ტერიტორიის, ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობა</p>		

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი 03 02 01</p>	<p>თუშეთის დაცული ლანდშაფტი</p>	<p>დაფინანსება ათას ლარებში 2024 წელი</p>
--------------------------------	------------------------------	---------------------------------	--

<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ა(ა)იპ "თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია"</p>
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>"ახმეტის მუნიციპალიტეტი ქვეყანაში პირველი მუნიციპალიტეტია, რომელიც 2011 წლიდან მართავს დაცულ ტერიტორიას, კერძოდ, თუშეთის დაცულ ლანდშაფტს. ხოლო ა(ა)იპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის საშუალებით 2023 წლიდან დაიწყო მართვა „ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისა“.</p> <p>ადმინისტრაციას აქვს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული მენეჯმენტის გეგმა და მასში განსაზღვრულია შემდეგი მიზნები და ამოცანები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. უნიკალური ეკოსისტემების, ცალკეული ბუნებრივი კომპონენტების ანთროპოგენიზაციის შედეგად გადაგვარება–დაღუპვისგან დაცვა; 2. უმდიდრესი ეროვნული მემკვიდრეობის – ხალხური ხუროთმოძღვრების ძეგლთა და ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის შენარჩუნება; 3. ხალხური შემოქმედების ტრადიციათა შენარჩუნება და განვითარება; 4. თუშეთის უნიკალური ისტორიული დასახლებების ტრადიციული იერსახის შენარჩუნება, დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე სივრცითი დაგეგმარების სისტემის შემუშავება; 5. ადგილობრივი მოსახლეობისათვის საშემე და სამასალე მერქნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; 6. ტყის მავნებლების გამრავლებისა და ხანძრების თავიდან აცილების ეფექტური სისტემების შემუშავება; 7. ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის შესწავლა და განვითარების მხარდაჭერა; 8. თუშეთში მუდმივმაცხოვრებელი მოსახლეობის მოტივირება, სამოვრების მდგრადი მართვის სისტემის შექმნა; 9. ძირითადი ტურისტული ბილიკებისა და ინფრასტრუქტურის შექმნა; 10. თუშეთის ენდემური მცენარეული კულტურებისა და ცხოველთა ჯიშების (თუშური ცხვარი, თუშური ცხენი) დაცვის სტრატეგიის შემუშავება; 11. დაცულ ლანდშაფტში გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების სტაბილური რაოდენობის უზრუნველყოფა; <p>სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნის მიზნებია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ქურციკის (<i>Gazella subgutturosa</i>) პოპულაციის აღდგენა, დაცვა და მოვლა; 2. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე ბუნებრივი ეკოსისტემების, ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტების, ძეგლების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, განსაკუთრებით, საფრთხის წინაშე მყოფ მცენარეთა და ცხოველთა გენოფონდის, დაცვის, აღდგენისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების უზრუნველყოფა; 3. სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიისთვის მიკუთვნებული წყლის ობიექტების ბუნებრივი ბიოეკოლოგიური რეჟიმის დაცვა და უწყვეტი მონიტორინგის განხორციელება; 4. გარემოს დაცვის მოთხოვნებისა და ქურციკის პოპულაციის აღდგენის საჭიროებების გათვალისწინებით, ორგანიზებული და განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა;

5. ადამიანსა და ბუნებას შორის დაბალანსებული ურთიერთობის განვითარება და გაძლიერება;
6. მდგრადი განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და ტრანსსასაზღვრო დონეზე;
7. სამეცნიერო კვლევა და გარემოს მონიტორინგის წარმოება ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობის კუთხით;
8. საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელის გაძლიერება და ერთიანობის ხელშეწყობა.

ვინაიდან, ზემოაღნიშნულ ამოცანათა გადასაჭრელად ადმინისტრაციის საბაზისო ბიუჯეტი საკმარისი არ არის, საჭირო ღონისძიებათა უდიდესი ნაწილი ფინანსდება საერთაშორისო ფონდებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მიერ. ააიპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია“-ის სტრატეგიას წარმოადგენს საკუთარი სახსრების მოზიდვა მისი წესდებით ნებადართული საქმიანობით: სატყეო მომსახურება, დაცულ ტერიტორიაზე შესასვლელი ნებაყოფლობითი გადასახადის დაწესება და ა.შ.

თუშეთის შიდა საავტომობილო გზებს ყოველწლიურად ესჭიროება ადდგენა-რეაბილიტაცია, რის გამოც თდლ-ს ადმინისტრაციას გადაეცა სამი ერთეული საგზაო სპეც. ტექნიკა და კონკრეტული ფინანსური რესურსი.

ზემო აღნიშნული ფინანსურ-ტექნიკური რესურსის მეშვეობით, თდლ-ს ადმინისტრაციამ არამხოლოდ უზრუნველყო თუშეთის ყველა ხეობაში (ჭანჭახოვანი, ჩადმა, გომეწარი, პირიქითი, წოვათა) ყოველწლიური გზის გაწმენდა- შენარჩუნება სეზონის განმავლობაში, არამედ შეძლო წლების მანძილზე საავტომობილო გზის გარეშე მყოფი ხეობებისა და სოფლების (წოვათის ხეობის 7 და გომეწარის 1 სოფელი) გარესამყაროსთან დაკავშირება. მოიხრეშა და გაკეთდა წლების განმავლობაში ხეობის ცალკეული დახრამული და დაზიანებული მონაკვეთები და სოფლების ქუჩები, ამოიცვალა დაზიანებული ხიდ-ბოგირები. ადმინისტრაციის ტექნიკა, ექსკავატორი თუ თვითმცლელი ემსახურება აგრეთვე თუშეთის სხვადასხვა სოფლის სასმელი წყლის სისტემის დაზიანებული ადგილების შესაკეთებლად საჭირო სამუშაოების შესრულებას და ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა კერძო სამუშაოების შესასრულებლად.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მართვის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარებში
	03 02 02		2024 წელი
			433.00
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ორგანიზაცია ახორციელებს ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყე-პარკებისა („წყაროების“, „ბახტიონის“, „შვეიცარიის“, „ხორხელის“) და სასაფლაოებზე მისასვლელი ბილიკების დაგვა და დასუფთავებას, გამწვანებას, ამორტიზირებული ხეების მოჭრას, უპატრონო მიცვალებულებისათვის გამოყოფილი ადგილის დასუფთავებას. ხდება ტყე-პარკი „წყაროების“ ტერიტორიის შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობა, რეგულარული დაგვა-დასუფთავება და გამწვანება. ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების სხვადასხვა სახის დახმარება, (სახურავის შერემონტება, შეშით დახმარება). ტყე-პარკ „წყაროებში“ წელიწადში ხდება 3-4 ჯერ გათიბვა, გაწმენდა ეკალ-ბარდისგან, სეზონზე ყოველდღიურად იგვება და სუფთავდება მთელი ტერიტორია. ტყე-პარკი „ბახტიონი“ გაწმენდა ბალახისა და ჯაგნარისაგან გაზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე. შედარებით ნაკლები სამუშაოები ტარდება ტყე-პარკ „შვეიცარიასა“ და ტყე-პარკ „ხორხელში“. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ახმეტის 3 და 1 საბეროს სასაფლაოების ყოველ გაზაფხულზე, შუა ზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე გათიბვა, გაწმენდა ეკალ-ბარდისგან.</p> <p>ორგანიზაციაში დასაქმებული 37 თანამშრომლიდან ქალი არის 5, მამაკაცი 32.</p>
-------------------------------	---

კოდი	პროგრამის დასახელება	კაპიტალური დაბანდებები გარემოს დაცვის სფეროში	დაფინანსება ათას ლარებში
03 03			2024 წელი
			1402.8
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარემოს დაცვის მიმართულებით, ისეთი ქვეპროგრამები, როგორცაა სანიაღვრე არხების მოწყობა, ხეების გაწმენდა ნატანისგან, სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა, სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სანიაღვრე არხების მოწყობა, რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარებში
03 03 01			2024 წელი
			305.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური	

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობა - რეაბილიტაცია, რის შედეგად უხვი ნალექების პირობებში მოსახლეობა დაცული იქნება ეზოების და პირველი სართულების დატბორვისგან. კომფორტული გახდება აღნიშნული გზით მოსარგებლე მოსახლეობის გადაადგილება.
-------------------------------	--

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარებში
03 03 04			2024 წელი
			248.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამით განხორციელდება მდინარეებსა და ხევებზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება. მოეწყობა ქვის გაბიონები საჭიროებისამებრ, რათა სამომავლოდ უზრუნველყოფილი იყოს სტიქიის პრევენცია. ხოლო სტიქიის შედეგად მინიმალური ზიანი მიადგეს, როგორც სასოფლო სამეურნეო სავარგულებს, ასევე საცხოვრებელ სახლებსა და ეზოებს.		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა	დაფინანსება ათას ლარებში
03 03 03			2024 წელი
			848.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მთიანი და ფართოდ გაშლილი რელიეფის გამო მუნიციპალიტეტის სოფლები მნიშვნელოვანი მანძილითაა დაშორებული მუნიციპალიტეტის ცენტრიდან. ყველა საჭირო მუნიციპალური სერვისით, რომ ისარგებლოს მოსახლეობამ (მაგალითად საავადმყოფო, სამხატვრო თუ სახელოვნებო სკოლები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ცენტრები) ხშირად უწევთ დიდი მანძილის ფეხით გავლა და ამასთან მნიშვნელოვანი დროის დაკარგვა.		

	<p>კერძო სექტორის სატრანსპორტო კომპანია აღნიშნული სერვისით არ არის დაინტერესებული. ამისათვის შეიქმნა საჭიროება საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების, შეძენილი იქნას ავტობუსები, რომ მოქალაქეებმა, სოციალურად დაუცველმა პირებმა, პენსიონერებმა, ქალებმა, კაცებმა, ბავშვებმა, შშმ პირებმა საზოგადოებრივი ტრანსპორტით ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, დროის მცირე დანაკარგებით შეძლონ გადაადგილება, რათა არ იყოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული არცერთი სერვისით სარგებლობა ძნელად მიღწევადი.</p> <p>აღნიშნულიდან გამომდინარე დაიგეგმა სამი ერთეული სამგაზვრო ავტობუსის შეძენა, ორი ავტობუსი შეძენილი უნდა იქნას ადგილ ბიუჯეტის სახსრებით, ხოლო მესამე სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით.</p> <p>კონსოლიდირებული ტენდერის პირობების შესაბამისად, თითოეულ შეძენილი ავტობუსის 2023 წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს სრული ღირებულების 40 %-ს, 2024 წელს - სრული ღირებულების 30%-ს, 2025 წელს 30%-ს.</p> <p>დასახლებული ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებლად გატანის მიზნით შეძენილ უნდა იქნეს 16 მ³ მოცულობის ნაგავმზიდი (4*2-ზე თვლების ფორმულით). საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ერთი ერთეული ნაგავმზიდის ღირებულება იქნება 396 180 ლარი. ტენდერის პირობების შესაბამისად, 2023 წელს ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს სრული ღირებულების 40%-ს, ხოლო 2024 წელს - სრული ღირებულების 60%.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალურ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეუფერხებელი გატანა</p>
--	--

2. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე, სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს ქალაქის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, გენდერული საკითხებისა და მათთან დაკავშირებული პრობლემატიკის აღქმას, ამ კუთხით მიზანმიმართული ღონისძიებების პრაქტიკის დანერგვას, საზოგადოების აქტიურ ჩართვას მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში, მათი ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას;

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
-----------------	-----------------------------------	-----------------

04 00	განათლება	5,726.3
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	5,027.3
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება ა(ა)იპ ს.ბაღების ცენტრი	4,799.0
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა (საბავშვო ბაღების არაფინანსური მერიაში)	228.3
04 02	ზოგადი განათლება	699.0

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლება	დაფინანსება ათას ლარებში
	04 01		2024 წელი
			5,027.3
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სკოლამდელი განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოში უზრუნველყოფილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებაში ბავშვთა უფასო აღზრდა და განათლება, აგრეთვე მათი კვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p> <p>სკოლამდელი აღზრდა და განათლება, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამა, არის ნებაყოფლობითი, საყოველთაო და ხელმისაწვდომი შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის.</p> <p>მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, მათ შორის, სასკოლო მზაობის პროგრამის ბავშვებისთვის მიწოდებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 36 საბავშვო ბაღიდან სრულად რეაბილიტირებულია 12 საბავშვო ბაღი, 22 ნაწილობრივ რეაბილიტირებული, ხოლო 2 საბავშვო ბაღი განთავსებულია იჯარით აღებულ შენობაში.</p> <p>პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღის შენობა ნაგებობების სრული რეაბილიტაცია და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჰარმონიული განვითარება და მათი სკოლისთვის მომზადება. ის ითვალისწინებს ბავშვის ინტელექტუალურ, ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას, ხელს უწყობს ინდივიდუალური და პიროვნული თვითგამოხატვის უნარების გამოვლენასა და ესთეტიკური გემოვნების აღზრდას.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარებში
	04 01 01		2024 წელი
			4,799.0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა.ა.ი.პ. "ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი"
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის აღწერა: სამოქმედო პროგრამა ძირითადად მოიცავს მიმართულებას: 3</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სასწავლო სააღმზრდელო სისტემის სრულყოფა; 2. სრულფასოვანი მრავალმხრივი კვებითი ღირებულების მენიუ. მისი ყოველდღიური დაცვა და კონტროლი; 3. ბავშვებში ცხოვრების ჯანსაღი წესის და გარემოზე ზრუნვის უნარების ჩამოყალიბება. გარდა იმისა, რომ სკოლამდელი დაწესებულებების საშუალებით სახელმწიფო ზრუნავს ბავშვთა სრულყოფილ განვითარებასა და განათლებაზე, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების არსებობა ხელს უწყობს ბავშვის მშობლებს, მუნიციპალიტეტის ქალებს გამონახონ დრო და შვილების აღზრდასთან ერთად დაკავდნენ საზოგადოებრივი ცხოვრებით. მოახდინონ თვითრეალიზაცია, დასაქმდნენ სხვადასხვა სფეროში და მიიღონ შემოსავალი. <p>2023 წლის მონაცემებით ახმეტის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 36 საბავშვო ბაღი. გენდერული სტატისტიკით რეგისტრირებული 1150 ბავშვიდან გოგონათა რაოდენობაა 577, ბიჭების 642 ყოველდღიური დასწრება საშუალოდ არის 900 ბავშვი. კვების თანხა გათვალისწინებული იქნება დღეში 4.2 ლარი, 180 დღეზე სულ 700000 ლარი.</p> <p>სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 410 თანამშრომელი, მათ შორის 95% არის ქალი.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ol style="list-style-type: none"> ა) ინკლუზიური განათლების დანერგვა; ბ) აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადება; გ) სრულფასოვანი მრავალმხრივი კვებითი ღირებულების მენიუ, მისი ყოველდღიური დაცვა და კონტროლი; დ) აქტივობების ჩატარება ღია სივრცეში გასეირნებები და ექსკურსიები.

პროგრამის დასახელება	კოდი	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარებში
	04 02		2024 წელი
	699.0		
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სკოლამდელი განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივითა და მხარდაჭერით ყოველ წელს დაჯილდოვდებიან მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წარჩინებული კურსდამთავრებულები. აღნიშნული ღონისძიება იქნება დიდი სტიმული ახალგაზრდებისათვის იყვნენ უფრო მეტად წარმატებულნი, მიიღონ სათანადო განათლება, რადგან განათლებული ადამიანი არის საძირკველი ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის და უკეთესი მომავლის. ამ კამპანიის ფარგლებში ახმეტის მუნიციპალიტეტში 2023-2024 სასწავლო წელს კურსდამთავრებებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო. მათ შორის ოქროსმედალოსნებს 500 ლარი, ვერცხლისმედალოსნებს 400 ლარი. 2. მუნიციპალიტეტის წარმატებული პედაგოგები დაჯილდოვდებიან ერთჯერადად 1000 ლარის ოდენობით.
-----------------------------------	---

3. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული მონაცემების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს. გარდა ამისა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ბიბლიოთეკების, მუზეუმების, ხელოვნების სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. გენდერული საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ხარჯების დაფინანსება.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	5,006.3
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	3,321.4
05 01 01	ა(ა)იპ ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის კომპლექსური სასპორტო გაერთიანება	1,013.0
05 01 02	ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა "ბახტრიონი"	294.9
05 01 03	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	64.1
05 01 04	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	1,949.4
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,513.0
05 02 01	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	945.6
05 02 02	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება	567.4
05 03	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	80.0

05 04	ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრი	91.9
-------	----------------------------	------

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01		2024 წელი
			3,321.4
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სკოლამდელი განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ახალგაზრდების სპორტით დაინტერესების და ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მოეწყობა შეჯიბრებები და სახელობითი ტურნირები, თითოეული სპორტსმენი ცალკე და სხვადასხვა ასაკობრივი გუნდები მონაწილეობას მიიღონ ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო ღონისძიებებზე. უკეთესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მიზნით, მოხდება სპორტული ინვენტარის შეძენა და განახლება, სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ა.შ.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის კომპლექსური სასპორტო გაერთიანება	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 01		2024 წელი
			1013,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება-ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის კომპლექსური სასპორტო გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კომპლექსური სკოლა უზრუნველყოფს სწავლებას სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში (8 -დან 30 წლამდე). სპორტსმენები იღებენ მონაწილეობას რეგიონალურ, საქართველოს, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე. ტარდება სპორტული შეკრებები. კომპლექსურ სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 11 სპორტული სახეობა და ვარჯიშობს 764 სპორტსმენი. აქედან 640 არის ბიჭი, 124 არის გოგო. <ul style="list-style-type: none"> • კალათბურთი 139 ბავშვ, მათ შორის 90 გოგო; • ძიუდო - 311 ბავშვი, მათ შორის 12 გოგო; • მკლავჭიდი 56 ბავშვი მათ შორის 4 გოგო; • კინგბოქსი - 52 ბავშვი მათ შორის 4 გოგო; • თავისუფალი ჭიდაობა - 15 ბავშვი მათ შორის 2 გოგო; 		

	<ul style="list-style-type: none"> • საცხენოსნო სპორტი 27 ბავშვი მათ შორის 10 გოგო; • რაგბი 64 ბიჭი; • კრივი - 35 ბავშვი მათ შორის 2 გოგო; • ათლეტიზმი - 25 ბიჭი; • ბერძნულ რომაული ჭიდაობა 30 ბიჭი; • მაგიდის ჩოგბურთი - 10 ბიჭი. <p>ორგანიზაციაში მოქმედი სპორტულ სექციებში ძირითადად დასაქმებული არიან მამაკაცები. მწვრთნელთა შორის მხოლოდ ერთია ქალი (კალათბურთის მწვრთნელი) დანარჩენი ქალები (17) დასაქმებული არიან ადმინისტრაციაში.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია სპორტული სახეობების განვითარება, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.</p>
--	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა "ბახტრიონი"	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 02		2024 წელი
			294.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სკოლის გარეშე სპორტული დაწესებულება ახმეტის საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საფეხბურთო სკოლა უზრუნველყოფს სწავლას ფეხბურთის მიმართულებით სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში (5-დან-18-წლამდე) 220 სპორტსმენს, აქედან 8 არის გოგო, 212 არის ბიჭი. სკოლის სპორტსმენები მონაწილეობენ თბილისის მერიის თასის გათამაშების ტურნირზე და კახეთის ჩემპიონატზე. სკოლა გეგმავს ბიუჯეტიდან გამომდინარე შეძლებისდაგვარად მოეწყოს საზაფხულო შეკრებები აგრეთვე, გეგმავს და ახორციელებს ღონისძიებებს ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით, ხელს უწყობს მის დანერგვას და პოპულარიზაციას.</p> <p>ორგანიზაციაში მოქმედი სპორტულ სექციებში ძირითადად დასაქმებული არიან მამაკაცები (82%), ქალები დასაქმებული არიან ადმინისტრაციაში (18%)</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 04		2024 წელი
			1,949.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>უკეთესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მიზნით, მოხდება სპორტული ინვენტარის შეძენა და განახლება, სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ა.შ.</p> <p>სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან მისაღები სესხით მოეწყობა იპოდრომი შესაბამისი ინფრასტრუქტურით, რომელიც ხელს შეუწყობს ცხენოსნობის განვითარებას.</p>
-------------------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათას ლარებში
	05 02		2024 წელი
			1513.0
პროგრამის დასახელება	ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ახმეტის მუნიციპალიტეტში კულტურისა და ხელოვნების პოლულარიზაციის მიზნით მოხდება კულტურისა და სხვადასხვა სახელოვნებო დარგებისა და კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობა. პროგრამის მიზანს, ასევე, წარმოადგენს კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვა და შენარჩუნება.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 01		2024 წელი
			945.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)ი.პ. ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>წლის განმავლობაში დაგეგმილია 41 მხატვრულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება. ესენია:</p> <p>კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 14 სიმღერისა და ცეკვის წრე (როგორც ქ.ახმეტაში ისე სხვადასხვა სოფლებში), სადაც დაკავებულია 243 ბავშვი. მათ შორის 146 გოგონაა. კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 5 სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ჩვენი მუშაობით ვფიქრობთ კულტურულ</p>		

ღონისძიებებში, რაც შიძლება ბევრი ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას, კულტურული მიმართულებების ხელშეწყობას რათა, რაც შეიძლება მეტი ბავშვი დაკავდეს სხვადასხვა სახის წრეებით.

ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაშია ოთხი მუზეუმი: ახმეტის ისტორიის მუზეუმი, რაფიელ ერისთავის სახლ მუზეუმი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და პანკისის ეთნოგრაფიული მუზეუმი, იგეგმება ახალი ექსპონატების შემატება ინვენტარიზაცია, პასპორტიზაცია, მუზეუმების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, შესაბამისი ღონისძიებების გამართვა რათა, გაიზარდოს მუზეუმების ცნობადობა, გაიზარდოს ვიზიტორების რაოდენობა.

საბიბლიოთეკო გაერთიანების ბაზაზე ფუნქციონირებს ქ.ახმეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა და 10 სასოფლო ბიბლიოთეკა, მკითხველის მოზიდვის მიზნით იგეგმება ახალი წიგნების და ჟურნალ გაზეთების შექმნა, კატალოგიზაცია, ბიბლიოთეკებში განაწილება, სხვადასხვა სახის ღონისძიებების მოწყობა (ლიტერატურული საღამოები, გასვლა საჯარო ადგილებში ახალი წიგნების გამოფენა, ცნობილი შემოქმედი ადამიანების მოწვევა ბიბლიოთეკაში მათი საღამოების ორგანიზება...), მკითხველის მოზიდვის მიზნით, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, შენარჩუნება.

ახმეტის მუნიციპალიტეტი საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული მუნიციპალიტეტია ისტორიული ძეგლების რაოდენობის მხრივ, ძეგლთა დაცვა მუდმივად ახდენს მათ მოვლა-პატრონობას, ფოტოდოკუმენტირებას, პასპორტიზაციას, ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით გამოიცა წიგნი „ახმეტის მუნიციპალიტეტის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა“. სამსახური ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ, ძეგლთა დაცვის საგენტოს მუდმივად აწვდის ინფორმაციის ახალი ობიექტების შესახებ რათა მოხდეს მათთვის სტატუსის მინიჭება რაც უზრუნველყოფს მათ დაცვა - შენარჩუნებას.

ორგანიზაციაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 150 ადამიანს. აქედან ქალი არის 90, კაცი 60.

ქვეპროგრამის მიზანია საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში, მეტი ბავშვის დაკავება სხვადასხვა სახის წრეებით. მუზეუმების შენობების მოვლა პატრონობა მათ შემდგომი განვითარება, ვიზიტორების მოზიდვა. ბიბლიოთეკების შენობების მოვლა პატრონობა, წიგნადი ფონდის განახლება, მკითხველის დაინტერესება და მოზიდვა. მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ისტორიულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა პატრონობა, პოპულარიზაცია, შეუსწავლელი ძეგლების გამოვლენა ფოტოდოკუმენტირება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება	დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 02		2024 წელი
			567,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება		
ქვეპროგრამის ღწერა და მიზანი	<p>სკოლა ემსახურება მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. სკოლა ასევე, უზრუნველყოფს მომავალი თაობების ცოდნის გაღრმავებას. ამისათვის სკოლაში არსებობს:</p> <ul style="list-style-type: none"> - სამხატვრო განყოფილება ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია 174 ბავშვი - მათ შორის 129 გოგო; - თიხა-კერამიკის სახელოსნო - 20 ბავშვი - 14 გოგო, 6 ბიჭი; - ქართული დამწერლობის და ლიტერატურული მემკვიდრეობის შემსწავლელი წრე - 4 გოგო; - თექა და ქარგვა - 23 მოსწავლე - აქედან 21 გოგო; - ჭადრაკის წრე - 25 ბავშვი, მათ შორის 4 გოგო და 21 ბიჭი; - მუსიკალური წრე- სტუდია „ბასტი-ბუბუ“ 21 ბავშვი, აქედან 14 გოგო 7 ბიჭი; - სამუსიკო სკოლების გაერთიანება - 254 ბავშვი, მათ შორის გოგო 190. <p>ხელოვნების დარგების შესწავლა შეუძლიათ. როგორც სკოლის მოსწავლეებს ასევე, სკოლადამთავრებულბს და ზრდასრულებს, დიასახლისებს, პენსონერებს, რომელიც ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის მიღწევას, ქალთა ჩართულობის გააქტიურებას ეკონომიკურ პროცესებში, ადგილობრივ დონეზე, რადგან აქ ნასწავლი ხელოვნება შეიძლება მომავალში გახდეს მათი შემოსავლის წყარო.</p> <p>ბასტი-ბუბუს წრეზე ხდება სხვადასხვა ასაკის ბავშვებისათვის და ახალგაზრდებისათვის სრულიად უფასოდ საესტრადო სიმღერების სწავლება, მათი ჩართულობით მუნიციპალურ და სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობის მღება. მუსიკას ეუფლებიან, როგორც სკოლის მოსწავლეები, ასევე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებიც, რომლებიც დიდი ენთუზიაზმით და მონდომებით იძენენ ცოდნას და ხალისით იღებენ მონაწილეობას კონცერტებსა და ღონისძიებებში.</p> <p>სამუსიკო სკოლების გაერთიანება ემსახურება ახალგაზრდების მუსიკალური ხელოვნების საფუძვლების გაცნობას მათი ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას, მუსიკალური ხელოვნების სფეროში ინდივიდუალური შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობას, კულტურული მემკვიდრეობის შეწავლას და შენარჩუნების მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. ასევე, ხელს უწყობს ქართული ფოლკლორისა და ქართული სიმღერების შესწავლას. გაერთიანებაში შედის 5 სამუსიკო სკოლა: ახმეტის, სოფ. მატნის, ზ.ალვანის, ქვ. ალვანის და დუისის</p>		

<p>სამუსიკო სკოლები. სწავლის გადასახადი ერთ მოსწავლეზე შეადგენს 10 ლარს. გაერთიანებასთან ფუნქციონირებს ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ჯვარი ვაზისა“</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია ნიჭიერ ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდა</p>

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 03		2024 წელი
			80.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები:</p> <ul style="list-style-type: none"> - ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრების გამოფენა-პლენერი (აქსესუარების, პრიზების, საჩუქრების შესაძენად); - ლიტერატურული კონკურსი (ესე); - მხიარულთა და საზრიანთა კლუბი (მსკ). - ახალგაზრდული აქტივობები: <ul style="list-style-type: none"> - დედაენის დღე - 14 აპრილი; დასუფთავების აქცია; - შშმ პირთა ინტეგრაციის ღონისძიება, - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიება (ასფალტზე ხატვის ორგანიზება, კონცერტი, გამოფენის მოწყობა, ფერების ფესტივალი, ანიმატორების მოწვევა), - საზაფხულო ბანაკები, მათ შორის: ახალგაზრდული აქტივობები - დისკოთეკები, კონცერტები, გასვლითი შეხვედრები სოფლებში. ახალგაზრდული აქტივისთვის ლაშქრობების და ექსკურსიების ციკლი „ შეიცანი შენი მხარე“ (კვეტერა, თორღვა-პანკელის ციხე, ალენის ცხრაკარა, ბახტრიონის ციხე, ალავერდი, გრემი-ნეკრესი, იყალთოს აკადემია, მცხეთა, დავით-გარეჯი, წინანდალი, ერეკლეს სახლმუზეუმი...); - ქაქუცა ჩოლოყაშვილის-საიუბილეო თარიღის აღნიშვნა; - თუშეთში მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული აქტივის წაყვანა „მეცხვარის დღის“ აღსანიშნავად; შაბათობა ჯოყოლოს ქართულ ეკლესიაში; ილტოს ხეობის სოფლების და მოწვეული სტუმრების მონაწილეობით კაფიაობა-ლექსობის ჩატარება; - ახალი სასწავლო წლის დაწყების მილოცვა - კონცერტი; 		

